იანვარი, 1914 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I სურათი. უნდა უსათუოდ გაიარო. 2
II ახალი წელიწადი. ლექსი შიო მდივანელისა . . . 3
III იადონი გაფრინდა! (თარგმანი) ტასოსი 5
IV ჭიანჭველებმა აჯობეს გველს (ბიკოვიდან) კუდრაჭასი 7
V ორი მეგობარი (საშობაო) მოთხრობა გოგისა. . . 8
VI მეგრელი მწყემსი. ლექსი ლადო გეგეჭკორისა . . . 18
VII მჭედელი და მისი შვილი-შვილი, (დასასრული) თარგმანი ედ. ხაბურზანიასი. 20
VIII საკვირველი მატარებელი! 25
IX გმირი დერეკი. ზღაპარი (შემდეგი იქნება) ალ. ნათაძისა 28
X წვრილმანი: ახალ წლის მილოცვა, კითხვები და რებუსი 34

XI ბუნების წიაღში, ლექსი ვ. რუსაძისა 35
XII ნიკორას სიკვდილი. ამბავი ი. გომართელისა. . . . 36
XIII წერილების და ფოსტის გაგზავნ-გამოგზაენის ისტორია ბერლინისა (შემდეგი იქნება) ალ. ფალავანისა. 41
XIV შობა დილას. ამბავი ნ. გ-სა. 48
XV ყინულეთი და ბნელეთი ალ. ჭიჭინაძისა 52
XVI ახალი წელი. ლექსი ვ. გორგაძისა 58
XVII ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა (თომა ალვა ედისონი) (შემდეგი). 59

ჯეჯილის **1913** წლის ხელის მომწერლები
ვისაც ჟურნალის ფასი გადახდილი აქვთ
საჩქარათ გაეგზავნათ
დასურათებულ წიგნს.

„ჩვენი მეგობრები“

ჯეჯილის რედაქციაში ისყიდება ასლათ დაბეჭდილი:

მცენარეები და ცხოველები

ცხელი ქვეყნებისა. (დასურათებული)

ნება დართული კავკ. ოლქის მზრუნველისაგან
სკოლებში სახმარებლათ.

ფასი 35 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

142

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!.

ი. დ.

იანვარი, 1914 წ.

✦ წელიწადი მეოცდახუთე ✦

თბილისი
ელექტრომბეჭდავი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.
1914

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნდა უსათუოდ ამაზე გაიარო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი წელიწადი.

ეი, ვინ ხარ! ჰეი, ვინ ხარ,
რას მოჰკივი, რას მოსწივი?
კლდიდამ ვეფხი გადმოდიხარ,
თუ მთის შვილი, მთის არწივი?!
ჰეი, ვინ ხარ, გეკითხებით,
ე სხვა ხმით რო მოიძღერი,
მართლა გულით მოევარე ხარ,
თუ მეკობრე გასაძერი.
— ახალგაზრდა სტუმარი ვარ,
ხალხო, შორით მომავალი,
სიყვარული მომაქრობლებს,
არ გეგონოთ მე მტარვალი,
ერმათ მოკეთეს—მინდა ასლავ
რაც ფუეა დავაქციო,
ახალგაზრდა ნაძვი დავდგა,
ძველი ნაძვი წავაქციო,
შარშანდელი სათაევანო
და ბავშვების საალერსო
სულ ასლებით უნდა მოვრთო,
სულ მთლად გავაუკეთესო.

F 4498
Ф 8884

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთიადის პირზე თქვენთან
ვიცინო და ვიხარხარო;
ღამით ნაძვი ვაჩირაღდნო
და ბავშვები გავასარო.

ერმეფო, კარგის სურვილებით,
თუ გულწრფელათ დამისვდებით,
მეც მოვიგებ, თქვენც მოიგებთ,
არც წამახდენთ, არც წახდებით...

ძველი წელის მოადგილე
არ გეგონოთ—მაწანწალა;
სათნოებას დავრგავ თქვენში,
ნორჩი ღონე, ნორჩი ძალა.

ახალგაზრდა სტუმარი ვარ,
ანგელოზის მომაქვს კვალი
და მწამს ტკბილათ გამისტუმრებს
თქვენი კარგი მომავალი.

შ. მღვიმელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

იადონი გაფრინდა!

ერგომ მშვენიერი საჩუქარი მიიღო თავის დაბადების დღეს, მას აჩუქეს ლამაზი ფართო გალია, რომელშიაც იჯდა ლამაზივე იადონი. სერგო კარგათ უყლიდა იადონს. ყოველ დღე გალიას ასუფთავებდა, ახალ-ახალ ქვიშას უფენდა, სუფთა წყალს ჭიქაში უსხამდა და თავის მოსიყვარულეს მწვანე ფოთლებს უზიდავდა, იადონი კარგა ხანს იყო გალიაში დამწყვდეული და ისე შეეჩვია ტყვეობას, რომ თითქოს არც კი ეტყობოდა მოწყენილობა.

გაიარა ასე ზაფხულმა, მარიამობისთვე მიიწურა, ქალაქს უნდა წასულიყო ოჯახი და სწორეთამ დროს დატრიალდა უბედურობა!

სერგო რომ სოკოების მოსაგროებლათ ტყეში შიდიოდა გალიის კარები კარგათ არ მიეხურა, იადონს გაეღო, ფანჯარაც ამ დროს ღია ყოფილიყო და გაფრენილიყო. სერგო ძალიან შეწუხდა, შაგრამ იმან არ იცოდა დიდხანს დარდი და თავის თავს იმედს აძლევდა, რომ იადონი ტყეში ურიგოთ არ მოეწყობა: გაზაფხულზე კვერცხებს დასდებს, ეუბნებოდა ის თავის დაძმებს, ბარტყებს გამოჩეკავს და გალობას ტკბილათ მოჭყვებიან. მე კიდეც მიხარიან რომ გაფრინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. ამას იქით ტუეში ბევრი, ბევრი იადონები იქნებიან.

— არა, ჩემო გვრიტო, უთხრა, დედამ,—მაგის იმედი ტუეილათ ნუ გაქვს. იადონი ზამთარში უსათუოდ სიცივით და სიმშილით მოკვდება.

— რას ამბობ, დედილო, განა იადონი თავისუფლათაც არა ცხოვრობს, სოლო გალიაში გვეავს სოლმე?

— მართალია თავისუფლათაც ცხოვრობს, მაგრამ ჩვენთან არა! ისეთ სხვა ქვეყნებში, სადაც ზამთარში არა ცივა და როგორც ჩვენი გაზაფხულია—ისეთი სითბოა.

— განა არის იმისთანა ქვეყნები, დედილო? ჰკითხა გაკვირვებით სერგომ.

— არის, შვილო, სოლო ჩვენგან შორს არის. იქ ცხოვრობენ იადონები, თუთიეუშები, მაიმუნები და სხვა მრავალი ცხოველები, რომელთაც სიცივის ატანა არ შეუძლიანთ.

ტასო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიანჭველებმა აჯობეს გველს.



ის არ ეშინია გველისა? ვინც კი გველს სადმე თვალს მოჰკრავს შეშინებული გაურბის. და თუ არ შეამჩნევს გველს და უცაბედათ ფეხს დაადგამს, ვაი იმისი ბრალი, ხეირი არ დაეურება. ვისაც ის დაჰკბენს ან დიდხანს ავადმეოფობს და ან მოკვდება. ცხელ ქვეყნებში გველები უფრო დიდრონები და შხამიანები არიან. ისინი სასიკვდილოთ გასწირავენ არა თუ ადამიანებს, თვით უზარმაზარ ცხოველებსაც კი.

ერთ ერთ ამ გვარ შხამიან გველს კი ჭიანჭველებმა აჯობეს. ერთხელ ჭიანჭველების დიდი ჯარი საომრათ მიდიოდა მეზობელ ჭიანჭველებზე. გზაზე ჭიანჭველებს გაწოლილი გველი დახვდათ. ამათ არ უნდოდათ გზის გადახვევა და ზედ გველზე დაიწყეს გადასვლა. გველი განრისხდა, დაუწყო ჭიანჭველებს კუდით ცემა და ჭელეტა. ჭიანჭველები გაშეუპოვრდენ —დაესივენ გველს, ჩაუძვრენ ეურში, ცხვირში, თვალებში. მათი რიცხვი თან და თან მატულობდა. გაბრაზებული გველი სიმწარისაგან იკლაკნებოდა, მტრების მოშორება უნდოდა, მაგრამ ვერა გააწყო რა, ვერ გაუძლო და დატანჯული მოკვდა.

უმაწვილებო, რათ აჯობეს ჭიანჭველებმა გველს?

კუდრაჭა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი მეგობარი.

(საშობაო)

ედა-მიწას თოვლი თეთრათ გადაჭენტოდა; მოსიარულეთა ფეხის ქვეშ თოვლს სრაშა - სრუში გაჭქონდა. ჭეინავს; თან ოდნავი ქარი ჰირისახეს ტკეცავს და ამწვავებს. მზეც მოჩანს—მაგრამ იქ, შორს, მისი სხივები შეუკვეცნიათ, მისუსტებულან და ამიტომ დედა-მიწას ვერა სწვდებიან.

დეკემბრის თვის დღეებია—დედა-მიწაზე ეინვა ბობოქრობს...

— აქ მე ვარ დღეს, მე?!. თითქოს ნიშნის მოგებით წრიპინებს ეინვა.

კეკლუცა მზე ამას არაფრაფრად აგდებს, კარგათ იცის, რომ დროს თავისი მოაქვს, მაგრამ ვერ ითმენს და კამათს იწყობს.

— დამაცა ერთი, დრო დადგეს, დრო!?... ჭოი... ეს სქელი, წუალით გაჟღენთილი ღრუბლები არ იე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენ ჩვენ შორის გაწოლილნი.... გიჩვენებდი!... — ეძახ-
რება მზე.

კამათი მათ შორის მწვავდება. ეინვა სუსხს უმა-
ტებს, უნდა ეველას აგრძნობინოს თავისი ძალ-ღონე..

აგერ, ერთს ცხვირ-პირი აუტკიცა და თვალიდან
ცრემლი ადენინა. მეორეს აძაგძაგებს—გარბის... ხვე-
ბის ტოტები გათოშილან... სახლების სახურავებზე
ეინვის ლულოები უფრო გძელდებიან...

ერთი ამხაირი დღეთაგანი იყო. შობის დღესას-
წაულები ახლოვდებოდა. დილით ქუჩებში ბევრი მოს-
წავლენი ირევიან. სასწავლებლისკენ ძიეშურებიან.

ქალაქის დიდი ქუჩის დასაწყისში, ორი პატარა,
ერთი მეორეს მოპირდაპირე ქუჩიდან, ორი მოს-
წავლე—ბავშვი გამოვიდა.

ქუჩის ქვაფენილის შუა ალაგას ერთმანეთს შე-
ხვდენ.

— ჰა, გამარჯვება, პეტრიკ!

— შენც გაგიმარჯოს, ლექსო!

ორივენი ერთმანეთის წინ გაჩერდენ.. ერთმა-
ნეთს შეაჩერდენ...

ლექსო გაძხდარი ბავშვი იყო, მოგრძო პირისა,
ვიწრო ქუთუთოებიდან ორი ბასრი—მახვილი თვა-
ლები გამოიყურებოდენ, განიერი შუბლი ჰქონდა,
და შუაგულ პირისახეზე წვეტიანი ცხვირი. უბრალო,
ძველი პალტო ეცვა. პალტოს აქა-იქ დახეულ ადგი-
ლებიდან გაშავებული ბამბის ნაჭრები მოჩანდენ. ფეხთ
ეცვა ლაზლის წინდები და ჩუსტები. თავზე გახუნებუ-
ლი „კაკარდიანი“ ქუდი ეხურა. იღლიაში წიგნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჭირა, რომლებიც თეთრი, რამდენიმეჯერ გადაბმული კანაფით ჰქონდა შეკრული.

ჰეტრიკა—სბუთხუზა ჰირისახე, მოწითანო ლოუები და დიდი თვალები ჰქონდა; ცხვირი მოგრეხილი, თავზე იგეთივე ქუდი, როგორც ლექსოს, სოლო სასკოლო „კაკარდა“ ნახევარი მოტეხილი იუო. უპალტოოთ, მაუდის ხალათით, კვირისტავებთან დახეული შალვრის ტოტები ჰქონდა და ეელიანი ჩუსტები ეცვა, მარცხენა ჩუსტი წვერში გახეული იუო და შიშველი თითი მოჩანდა. წიგნები დაგლეჯილ აბგაში ჰქონდა გამოხვეული.

შეხვედრითვე ეტეობოდა, რომ ჰეტრიკა რაღაცა ნაწეენი იუო ლექსოსაგან. აბრეზილი უცქეროდა და უნდოდა თვალებით ჩაენთქა. ბოლოს ლექსოს მიუახლოვდა...

— ჰე! შენ ეი, სომ იცი!—ბუზღუნით შეუტია ჰეტრიკამ.

— რაო, რა იუო?!—მკვახეთ უპასუხა ლექსომ. ამას მკრთალი ჰირისახე წამოუწითლდა და ჰეტრესკენ მიიწია ისე, რომ თავისი გული მას მიაბჯინა, კაცს ეგონებოდა ერთმანეთს დაჭკრამდენ და ისე დაჭქოჩრიდენ, როგორც ორი ეოეოჩა მამლაეინწა. რის შედეგი ის იქნებოდა, რომ ამ სიცივეში ან ერთი იგორავდა და ან მეორე თოვლში.

— ჰო, მერე რა გინდა?... განაგრძო ლექსომ. —რა დიდი რამ მოხდა, რომ ჩემმა ძმამ შენი ძაძია გალახა! არც მე მოუწონე საქციელი ჩემს ძმას...

— ჰო და...—ძლივს თქვა ჰეტრემ... ეწეინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თან ისეთაც წითელი, უფრო ჭარხალივით გაწითლდა სირცხვილისგან, რომ გაუგეს გულის ნადები, —რომ ლექსოსთვის ძმის სამაგიერო უნდა მიეზღო...

— როგორ, ჩემი ძმა იმაზე უნდა გავლასო, რომ მან შენს ძმას სცემა?.. არა... დატუქსვით კი დავტუქსავ, რომ კვლავ ხელით არავის შეეხოს...

ჰეტრე თითქოს არ მოელოდა ამ ნაირ ჰასუხს, ეგონა შესვედრისთანავე ლექსოს ქვეშ ამოიდებდა.

ჰეტრე დამშვიდდა და უკანაც დაიხია.

— ჩემი ძმაც დავტუქსე.... ძლივს წამოთქვა ჰეტრემ. ეტყობოდა, აშკარათ იტყუა ჰეტრემ, რადგან აზრათ არ მოჰსვლია ძმის დარიგება.

— მაშ თუ ასეა, ჩვენ რაღა გვაჩხუბებს... თქვა მხიარულათ ლექსომ და ჰეტრიკას მხარზე ხელი დაადო და ისე წავიდენ...

— ჰეტრიკ, კინაღამ ერთმანეთი არა ვბუმბლეთ!.. თქვა ლექსომ ცოტა მანძილის გავლის შემდეგ.

— კარგია ერთი და.... უპასუხა ჰეტრიკამ და ემებდა აზრს, რომ ლაპარაკი სხვა საგანზე გადავტანა...

— ლექსო, შობა ღამეს მე თქვენსა გავატარებ, —უთხრა ჰეტრიკამ.

— შარშანაც ჩვენთან იყავი ხომ?...

— შობა კი ჩვენსას... როგორც შარშან.—დაასთავა ჰეტრიკამ.

ჰირობა დადეს და ორივენი წავიდენ... თან ფეხს მიაჩქარებდენ, რათა სკოლაში არ დაჰგვიანებოდათ.

ქუჩებში სალხი ბლომათ ირეოდა. ქუჩის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქეთ-იქით მხარეზე სულ თვალ მოძტაცი, საბრ-ბაოთ მორთული მაღაზიები ხალხს იზიდავდა. მა-ღაზიების ფანჯრები საუცხოოთ იყო აჭრელე-ბული, რა გინდა სულო და გულო იქ არ იყო გამოკიდული. თითქოს თითონ ათას ნაირ ნივთებს ენა ამოედგათ და უმახდენ: ჩვენკენ, ჰატარა ბიჭუკე-ლებო!—რა ტკბილი ვარ, რა ტკბილი, ისმობდა ფოჩიანი კამფეტიც...

ჰეტრემ და ლექსომ ცოტა მანძილი გაიარეს, მაგ-რამ ვერ გაუძლეს ათასფერ სურათებს და ერთ დიდ მაღაზიის წინ გაჩერდენ.

— შენც არ გექნება, ჰეტრე!—სიცილით იოხუნ-ჯა ლექსომ.

— შენ კი, მე ვიცი...

ლექსომ და ჰეტრემ შარშან ერთათ გაატარეს ეს დღეები და როგორც მაშინ, წრეულაც ალბათ ვაშ-ლების და ჩურჩხელების მეტი არაფერი ექნებოდათ. იქნება რამე-ნაირათ ფოჩიანი კამფეტებიც მიმატებოდა. გაახსენდა ლექსოს ეს, ჰეტრეს ხალათზე გამოსწია და გზას გაუდგენ. ორივენი დაღონდენ, ათასი ფიქ-რი აღეძრათ...

— ესენი იმათ ექნებათ, ვინც მდიდარია.—გულ-ნატკენათ თქვა ლექსომ.

— ვისაც ბევრი ფულები აქვს.—წყრომით დაუ-მატა ჰეტრემ.

გამოჭშორდენ ერთ მაღაზიას, მაგრამ აგერ უფრო დიდი მაღაზია, უფრო კარგათ მორთული, ფანჯარაში დიდი შობის ხე დგას, რა გინდა ზედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ეკიდა! ზევით წვერზე ვარსკვლავი ელექტრონული ფარნებით გაუკეთებიათ, დაღამებისთვის არ მოუცდიათ და აუნთიათ, სან წითლათ ინთებოდა, სან მწვანეთ, სან ალისფრათ... იქვე სის გვერდით მოსუცი კაცი, სანდომიანი ჰირისახით და გძელი თეთრი წვერებით დგას. გამვლელს და გამომვლელს თავს უკრავს...

ამ სურათმა სულ გადარია ლექსო და ჰეტრიკა. გაჩერდენ და თვალის მოშორება აღარ უნდათ... თითქოს ეოველი ნივთი მათ ეალერსება, მათ ტუჩებზე მიწებება სურდათ. ამათ ნერწევი მოსდით და საღერღელი უცხოველდებათ... ჰეტრიკას მოეჩვენა, რომ ერთმა კამფეტმა თვალი უეო და წაჭურჩულა: „ჩემთან ახლო მოდი, ჰირი გააღე და ჩამოვსტებიო“. ჰეტრიკამ წინ წაიწია, ჰირი გააღო, ჰირი დააწმაწუნა... თავი შუშას დაარტყა და ტუჩებმა ტელაშუნი გაიღეს... ჰეტრე გამოერკვა და შერცხვა... მით უფრო, როცა ლექსომ შეამჩნია და სიცილი მორთო.

— ნეტა სურვილი არა მქონდეს?... რა ნაირი გულს ვიოხებდი, ნება რო.....!

— იცი, ჰეტრიკა!—განაგრძო ისეჯ ლექსომ— ეხლავ შევიდოდი და უბძანებდი, აბა, ეხლავ ეს სუეველაფერი ჩვენსა გაეგზავნათ. მერე რა ნაირათ გაუხარდებოდა დედა-ჩემს.... ჩემს დაიკოს...

— ეე... სურვილზე თუ იქნებოდა!.... თქვა თავის გაქნევით ჰეტრიკამ.—წავიდეთ!... დაუმატა მანვე ნალვლიანათ.

— არა, როგორ შოულობენ იმდენს ფულებს, რომ სუეველა ესენი იეიდონ?... დედა-ჩემი ცისმარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე სულ სხვის სარეცხს რეცხავს, ეგები რაფერ გა-მოვრჩეო და პოლოს ჰურის ფულიც ძლივს რჩება...

— დედა ჩემიც ასეა, მთელი დღე ფაბრიკაშია და.....

— შესედე, ლექსო, შესედე! გოჯი როგორ ძოურ-თავთ.—უთხრა ჰეტრიკამ და თითი მიუშვირა იქვე ერთ მაღაზიაზე, სადაც ფანჯარაში სხვა-და-სხვა სანოვა-გეები ეწყო და რამდენიმე გოჯიც, სოლო ერთი სხვა-და-სხვა ფერადი ქაღალდებით შეეხამებინათ.

— სწორე გითხრა, ძოურთავათაც გიახლებო-დი.—დაუმატა ჰეტრემ.

ორივენი ისევ გზას გაუდგენ.

— ნეტავი სასეიდელი არაფერი იყოს ხოლმე? არა, ვინ მოიგონა, ი ფულები! თუ ეს არა გაქვს ვე-რაფერს იყიდი, თქვა რამდენიმე მანძილის გავლის შემდეგ ლექსომ.

— მაშინ... ფულები რომ არ მოეგონათ, ვისაც რა გვინდოდა იმას წავიღებდით!... არა?... გამოეს-მაურა ჰეტრე.

— ჭო!...

— მერე რამდენს წავიღებდი! იცი, მაშინ დაუ-მახებდი ჩვენებიანთ ნიკას, მისოს, აბა, ბიჭებო....

— მოდი და ეს რაღაც ფულებია მოვსპოთ? უცბ-ბათ წამოიძახა ლექსომ. და ჰეტრიკას მიაჩერდა.

— მერე, რანაირათ? ეს სომ ძნელია?...

— ეველაფერი ძნელია!..—გაჩერდენ, ერთმანეთს ცქერა დაუწყეს. თვალებით ერთმანეთს შესთანხმდენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ყველაფერი ეს შესაძლებელია. ლექსომ ისევ გააგრძელა ნაგრძო:

— იცი, როცა მასწავლებელი ლექსს გვაძლევს საზეპიროთ, პირველათ ყველას გვეძნელება, მაგრამ ერთი იტყვის, მეორე და....

— თუ მოვიწადინებთ და ერთი სიტყვა გვექნება.... სიტყვა ჩამოართვა პეტრიკამ.

— საქმეც მაგაშია... მეც ეგ უნდა მეთქვა... მოვიწადინოთ, მე, შენ, ჩვენმა ამხანაგებმა და ყველამ ვინც....

— მერე მაგით რა გამოვა!... პეტრიკას ველარ მოეფიქრნა თუ შემდეგ, როგორ მოქცეულიყვენ და გაოცებული შეჰყურებდა ლექსოს.

— აი რა რაც ფულებია უნდა მოვკრიფოთ, დიდი ნაწილი ფულებისა სალაროებშია, სულ ერთათ უნდა გამოვიტანოთ....

— გამოვიტანოთ და ცეცხლში ჩავუაროთ.... მსიარულათ გააწყვეტინა სიტყვა პეტრიკამ.

— ეგეც შეიძლება, მაგრამ ხომ იცი ოქრო ცეცხლში გადნება და არ დაიწვება კი. ვინმე გამოვა, და ოქროდან ისევ ფულებს გააკეთებს....

— მაშ რა უნდა ვუყოთ?... თქვა პეტრიკამ და თავი მოიქექა, სწყინდა თუ რათ ვერ ხედება, რა უნდა თქვას ლექსომ.

— როცა შევკრეფამთ, უნდა წავიღოთ და მავზღვაში ჩავუაროთ...

— და თევზები შეჭამენ... დაუმატა პეტრიკამ.

— არა, ოქრო მძიმეა და დაიძირება. ზღვის ძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიდან კი ვერავინ ვერ ამოიღებს, ამის შემდეგ ბ

— რამდენიც გინდა სულო და გულო... აღარ დაათავა ჰეტრიკამ და ლექსოს გადაეხვია...

კოცნიდენ ერთმანეთს და თან ერთმანეთს ეჩურ-ჩულებოდენ, რომ ჰირობა დადებული უეჭველათ შეასრულებინათ... ქალაქში ჩვეულებათ ჰქონდათ, რომ ყოველ დღის თორმეტს საათსა ზარბაზნის დაცლით აცნობებდენ. აი ესენი როცა გადახვეულები იყვენ, ზარბაზანმა დაიგრიალა... ორივენი ამ ხმაზე სახტათ დარჩენ. არ მოელოდენ, რომ დროს ასე მალე გაევლო.

— ბიჭო, ჰეტრე, თორმეტია?!... გაოცებული შეეკითხა ლექსო... და ერთ ალაგას გაშეშდა.

— ვაიმე, დედავ, თორმეტია?... წითელი სახე გაუფითრდა ჰეტრეს და აღარ იცოდა რა ექნა.

— სკოლაში ღა.... ორივემ ერთათ წამოიძახეს.

— მე ეხლა სახლში უნდა წავიდე, რადგან დედამ უნდა სარეცხი წაიღოს მუშტართან და მე კი დაიკოს უყარაულო...

— მეც დედა დამჰირდა, ფაბრიკაში წაგიყვან და ერთ-ორ გროშს აგაღებინებ საბედნიერდღეოთაო...

ორივენი მალე გონს მოვიდენ, და სახლისკენ ჰქონეს ჰირი. სულ თითქოს მიფრინავდენ ისეთი ჩქარის ნაბიჯით წავიდენ.

აი მიახლოვდენ იმ ადგილს, სადაც დილას შეხვდენ ერთმანეთს. ორივეს გული უფრო ძლიერ აუტოკდათ. შედგენ; უნდა გაჰშორდენ..

— მაშ ასე, ჰეტრიკ!... არ დაგავიწყდეს ჩვენი ჰირობა, უთხარ ამხანაგებს, ყველას....—უთხრა ლექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომ და ჩაუხვია თავის სახლისკენ მიმავალ ვიწრო ჭუჭეიან ქუჩას.

— ჰო, ჰო, ლექსო!... უეჭველათ... უპასუხა ჰეტრიკამ და ნაბიჯი უფრო აჩქარა...

—

გათენდა ახალი წელიწადი; ყველა მხიარულობს, ულოცავენ ერთმანეთს... ჰკოცნიან... ჰეტრიკა და ლექსიც ულოცავენ მეგობრებს და თან უზიარებენ თავიანთ განზრახვას, სურვილს...

მეგობრები უსმენენ გულ-მოდგინეთ, მაგრამ შეუძლებლათ მიაჩნიათ და პასუხათ სიცილს აყრიან.

გოგი.

F 4498
19-8-48
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგრელი მწყემსი

ე მეგრელი ბიჭი ვარ,
სოფლის ბიჭუკელაო;
ცხვრის მწყემსი ვარ უბრალო,
ვიცნობ, მიცნობს ყველაო!

—

მთა-მთა ლაღათ დავდივარ
და თან ვმღერი „ჩელასო“ *)
მიყვარს დიდი, ჰატარა,
სალამს ვუთვლი ყველასო!

—

ხან იადონს ეურს ვუგდებ,
მიყვარს ხმა ხელ-ტკბილიო;
ხან გულს სევდა მაწვება
და ვარ დაღვრემილიო!

—

მესმის შაშვის ჭასჭასი,
და მერცხლის ჭიკჭიკიო,
სათამაშოთ თან დამაქვს
ტაფელა და რიკიო **)

—

*) „ჩელა“ მეგრული სიმღერაა: „აშო ჩელა სი ჩერჩელა“ და სხ...
**) „რიკ-ტაფელა“ სათამაშო ჯოხებს ჰქვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მომეწყინება
თავს შევიქცევ ამითო;
და არ-კი მოვცილდები
ცხვარს მე ერთის წამითო!

—

მურიაცკი ჩემს გვერდით
ღრეხს, კუდს აქიცინებსო;
სან ტეისკენ ჰუეფს, სან მოვა
და კვლავ შემოქცინებსო!

—

მეგობრობა ჩვენ გვარი
იშვიათი არიო:—
კიდეც ეს გვაქვს სალხენი
და თან გასახარიო!

—

მთაა ჩვენი ლეიბი,
საბანი—კი ზეცაო!
ორივ ღარიბები ვართ
მურიაც და მეცაო!

ლადო გეგეჭკორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჭედელი და მისი შვილი-შვილი

ნორვეგიული ლეგენდა.

(დასასრული)



ნდრია გავიდა. ელიზო დიდ-ხანს იჯდა და ბოლოს ჩასთვ-ლიმა. კარებთან რაღაც ხმაუ-რობა მოისმა. ელიზამ გაახილა თვალები და დაიძახა:

— ბაბუა, შემოდი, მე არ მძინავს!

ბაბუას მაგივრათ საძჭედლოში შე-მოვიდა ახალგაზრდა ქალი, ბავშვით ხელში. სახე გამხდარი და ფერ-მიხდი-ლი ჰქონდა, ეტყობოდა შორიდან მოსულიყო და ძალიან დაღალულიყო.

— შემიშვით, სახლში, თუ ღმერთი გწამსთ, სთქვა ქალმა.—მე გზა დამებნა, ძალიან დავიღალეთ და თუ შეიძლება ღამე გაგვათევინე.

— შემოდით,—უპასუხა ელიზამ.

— ოჰ, როგორ მცივა, ამოიოხრა ქალმა და უღო-ნოთ დაეშვა სკამზე.—როგორ მშია!

ელიზა ადგა, მივიდა ქალთან და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი იქ დაჯექით, იქ უფრო თბილა. ეს ნაჭერი ჰურიც შენ გქონდეს, სჭამე.

ქალი დაჯდა ელიზას ადგილას, გაახვია ბავშვი ელიზას ძონძებში. აიღო ჰური და მოჭამა ჭამას.

ელიზა ჩამოჯდა სკამზე და სიცივისაგან სულ მოიკრუნჩხა.

—როგორა მცივა,—დაიკვნესა ქალმა,—სულ გავიყინე.

— აი ეხლავე გაგათბობთ, უთხრა ელიზამ,—საჩქაროთ წამოხტა, ნახშირი ქურაში ჩაყარა და გააჩაღა ცეცხლი, მაგრამ ნახშირი ცოტა იყო, ცეცხლი მალე ჩაქრა და ოთახში ისევ აცივდა. ელიზას არაფერი ჰქონდა მოსახურავი და სიცივისაგან ხელ-ფეხი ისე სტკიოდა, რომ კინაღამ იტირა. ამ დროს მოისმა ფეხის ხმა და სამჭედლოში შემოვიდა მჭედელი. როდესაც ელიზო ასეთ მდგომარეობაში დაინახა ძალიან გაუკვირდა და ჰკითხა:—რატომ არაფერი მოგისურავს, რატომ ამდგარხარ?

— სუ, მიაძახა ელიზამ და მიუთითა ქალზე,— არ გაღვიძო, მგონია ჩაეძინა.

— ეგ ვინ არის—გაკვირვებით ჰკითხა ანდრიამ.

— ვიღაც ქალი, ძალიან დაღალულიყო და სცოდა, მთხოვა ღამე გამათევინეო.

— შენ ხომ გაიყინები. შეშა ვერ ვიშოვე, მაგრამ ცოტა ნახშირი ხომ კიდევ არის, მოდი, დაჯექ ქურასთან, მე ახლავე დავანთებ.

— ბაბუა—ჩუმათ წაილაპარაკა ელიზამ, მაპატივე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ქალს ძალიან სცილდა და მე ის ნახშირი დავ-
წვი მათ გასათბობათ.

— დასწვი,—შეჰკვირა ანდრიამ,—ოჰ, ელიზა, რა
ძვირათ უჯდება ადამიანს გულკეთილობა.

რას იზამდა საწყალი ანდრია! მან აიყვანა ელი-
ზა ხელში, ჩამოჯდა სკამზე, ბავშვი ჩაისვა კალთაში
და შემოახვია მუხლებზე თავისი ტუალეტ-სალათის
კალთები. ელიზამ მოხვია კისერზე ხელები, მიეკრა
მკერდზე და ორივეს ჩაეძინათ.

მაშინ ქალი ფეხ-აკრეფით მიუახლოვდა ქურას
და უცბათ ქურა ნაკვერჩხლებით აიმსო და ცეცხლმა
გუზგუზი დაიწყო. სამჯედლოში ისე დათბა, თითქო
ზამთარი არ-კი ეოფილიყოს. მაგრათ მიკრობდენ
ერთმანეთს ელიზა და ანდრია და ისე ტკბილათ ეძი-
ნათ, მათ ჰირზე ღიმილი უთამაშებდათ. ქალი კი
ისევ თავის ადგილას მივიდა.

მკრთალმა ნათელმა შემოანათა ფანჯარაში. ჰირ-
ველათ ელიზას გაეღვიძა. მან ძალიან მხიარულათ
შესძახა ბაბუას:

— ბაბუა, ადექი, დროა—გაახილე თვალები. ან-
დრია ზლაზნით ადგა და ო, საკვირველებავ! მან უცებ
დაინახა ქურაში ცეცხლი.

— შენ არ მითხარი ნახშირი დავწვიო, ეს რა
არის, ჰკითხა მან ელიზას.

ელიზამ ჰასუხი არ გასცა, გაკვირვებით მისჩე-
რებოდა ქალს, რომელიც კარებთან იდგა და წასვლას
აპირებდა.

— მშვიდობით, გულ-კეთილო ადამიანებო, მიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრუნდა ელიზოს და ანდრიას.—დროა წავიდე, მე შორს ვარ წასასვლელი.

ანდრიას და ელიზოს არ უნდოდათ მისი გაშვება.

— დარჩი ჩვენთან, ისე მიგიღებთ, როგორც ღვიძლ, მახლობელს—უთხრეს ამათ.

მაგრამ ქალი არ დათანხმდა და გააღო კარები გასასვლელათ.

— შენი სახელი მაინც გვითხარი!

— მარიამი—უპასუხა მან.

— შენ ბავშვს რა ჰქვია?

— იესო.

მოხუცი მჭედელი და ელიზო განცვიფრებულნი მისჩერებოდენ ერთმანეთს, ის იყო უნდოდათ მუხლები მოედრიკათ მის წინ, მაგრამ ქალი კიდევაც გავიდა სამჭედლოდან.

ბაბუა და შვილი-შვილი დიდ-ხანს განცვიფრებული გაჰყურებდენ მიმავალ ქალს და როდესაც ის თვალს მოშორდა, ანდრია მივიდა ქურასთან. ცეცხლი გამქრალიყო, მაგრამ ნაკვერჩხლები ისევ ღუოდენ, და ანათებდენ.

— ეს რას ნიშნავს, გაიფიქრა ანდრიამ—ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ამისთანა ნაკვერჩხლები, რომლებიც ანათებდენ და არ ათბობდენო.

მოხუცმა აიღო მაშა და აურია, ნაკვერჩხლები წკრიალით იქით-აქეთ გადასცვივდენ, მაშინ მან აიღო მუჭით, მიიტანა კარებთან, რომ სინათლეზე უკეთესათ დაენახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ელიზო, დაიძახა ანდრიამ,—ძოდი ძალე. შეხედე, ეს ხომ ოქროებია! ჩვენ ახლა მდიდრები ვართ.

ელიზო მივარდა ბაბუას და თავის თვალებს არ უჯერებდა, რომ ოქროებს ხედავდა. მერე ოქროები ისევ თავის ადგილას ჩაუარეს და სასოებით დაიჩოქეს იმ ადგილას, სადაც იესო ქრისტე და ღვთისმშობელი იდგენ და მხურვალეთ ლოცვას მოჰფენენ.

(თარგმანი)

ელ. ხაბურზანიასი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვირველი მატარებელი.

ბევრს თქვენგანს, უმაწვილებო, თუ ახლოდან არა, შორიდან მაინც გინახავთ, როგორ მიჰქროლავს მატარებელი! მისი გუგუნი, მისი გრიალი შიშს გაგრძნობინებთ, მეტადრე როდესაც მატარებელი ღამე, წუვდიად სიბნელეში, განათებული, ზღაპრულ გველეშაპივით, მიჰქრის.

ეს მატარებელი უსათუოდ რომელიმე დიდ ქალაქიდან გამოუსტუმრებიათ. გრიალით გაირბენს ქალაქებს, სოფლებს, გაუვლის ქარხნებს, მუდრო მინდვრებს, სადაც საქონელია გამოსული საძოვრათ, ტყეებს, მოჭიკჭიკე ფრინველებით სავსეს და მიადგება მეორე დიდ ქალაქის სადგურს.

რკინის გზის მატარებელი ჩვენ დროში ნამდვილი სასწაულია და ამითი გამოიხატება დიდი გამარჯვება კაცობრიობის განვითარებისა. ამის მოგონება მოხდა ერთი გამჭრიახი კაცის წყალობით. ამ კაცმა მიაქცია ეურადღება, როგორ დუღდა წყალი ქვაბში, როგორ ადიოდა ზევით ორთქლი და მოისურვა ამ ორთქლის გამოყენება. და ამ კაცს უნდა ვუმადლოთ, რომ სწრაფული მისყლა-მოსვლა შემოვიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენში. როდესაც ჩვენ საზაფხულოთ, სააგარაკოთ ძი-ვდივართ, როდესაც თქვენ ქალაქში გაემგზავრებით სასწავლებლათ, ან ერთ სადგურიდან მეორეზე გადა-დიხართ ნაცნობ-მეგობრების სანახავთ, მაშინ უნდა იგრძნოთ, რომ ასი წლის წინეთ ერთი კაცი ცეცხ-ლა ჰირას იჯდა და დაკვირვებით შესცქეროდა, როგორ ორთქლი ამოდიოდა ქვაბიდან.

უსათუოთ ვინც ღამე მოსვენებით ზის მატარე-ბელში ფიქრათაც არ მოუვა, რომ ისინი ასე მშვი-დობიანათ მოგზაურობენ იმ დროს, როდესაც ასი და ათასი კაცი ფხიზლათ არის და ზრუნავს იმათზე. მართალია მემანქანე ეურს ადევნებს გზას, მეორე მე-მანქანესაც ცეცხლი ულეველათ აქვს, მაგრამ ეს საკმა-რისი არ არის. სხვებმაც რომ ხელი არ შეუწეონ ხალხი ვერ მიახწევს ბინამდის და მოგზაურობა სა-შიშიც იქნება. არიან მეისრები, რომლებმაც ისრებს უნდა ეგრი უგდონ გზების შესაერთებლათ. მუშებმა უნდა გზები დაათვალიერონ, რომ ზედ არაფერი ეყაროს. ზოგი მუშების მოვალეობაა მატარებლის გასავლელათ ლიანდაგი მოამზადონ. სხვა მოხელეები არიან ისეთნი, რომლებმაც უნდა მისვლა-მოსვლა აღ-ნიშნონ ისე, რომ მატარებლები არ დაეტაკონ ერთ-მანერთს. სადგურზე მოსამსახურენი უნდა დაუხვდენ მატარებელს მისვლის დროს, ზოგი კიდევ ხიდების მეთვალეურენი არიან, რომ არ იეოს გაფუჭებული, წეა-ლიც ხომ ეოველთვის გამოულეველი უნდა ჰქონდეთ.

როგორც ხედავთ ეოველ ცისმარე დღეს, ეოველ წუთას, ასი და ათასი კაცი უნდა ამ საქმეს ადგეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგი ნიშანს აძლევს—მატარებელი მოდისო, ზოგს მოვალეობაა—მატარებელი გაისტუმროს, ტელეფონით აცნობოს საჭირო განკარგულება, ჩასწეროს, ეური დაუგდოს, გაიქცეს-გამოიქცეს საქმეზე და მრავალ წვრილმან საქმეზე იფიქროს.

სამოცდასუთმეტი წლის წინეთ რუსეთში არ იყო რკინის გზის სსენება. ახლაც არიან იქ ისეთი სოფლელები, რომელთაც არ უვლიათ მატარებლით. ჩვენში ამ ორმოცი წლის წინეთ ცოტ-ცოტა შემოიღეს რკინის გზის გამართვა.

ჯერ სურამამდინ გამართეს, მერე ბათუმამდის, მერე ბაქომდინაც და ასლა დიდი მისვლა-მოსვლაა ეოველ მხრივ. ათასობით სალხი დაიარება მატარებლით და სხვაფერივი მოგზაურობა ასლა გერც კი წარმოგვიდგენია. მერე იცით, რომ ის ძალა, რომლის ეალობითაც მოძრაობს მატარებელი, არის უბრალო სამოვრის ორთქლი? მაგ ორთქლს იძლევა მზე. მზე რომ არ იყოს—არც რკინის გზის მატარებელი იქნება, რადგან თუ ხეები არ იქნება, არც შეშა გვექნება, უშეშოთ ორთქლს ვერ ვიშოვით, ორთქლი კი ამოძრავებს ლიანდაგზე მატარებლის მანქანას.

(თარგმანი)



ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირი დერეკიკი.

ზღაპარი.

(გადმოგეთებული).

ერთს დროს, დიდი ხანია მას შემ-
დეგ, ერთს ჰატარა ქალაქში ცხოვ-
რობდა დერეკიკი. ერთს მიეროუებულ
ქუჩაში სახელოსნო ჰქონდა გაძარ-
თული... სჭრიდა, ჰკერავდა, რის
ვაი-ვაგლახით ირჩენდა თავს და ეო-
ველ დღე დაღონებული და დაძმა-
რებული ბედს ემდუროდა, თავის გაჩენის დღესა სწუევ-
ლიდა...

ერთ დღეს დიდი სიცხე-ჰაჰანაქება იდგა... სი-
ცხისაგან ძაღლებსაც კი ენა გამოეგდოთ და ქანცგა-
წეევეტილები, ცოფიანივით აქა-იქა დარბოდნენ, სა-
ჩრდილობელს ეძებდნენ, რომ თავი დაეხწიათ სიცხი-
საგანა და მოუსვენარი ბუზანკლებისაგან... ადა-
მიანის ჯაჭანება არ იეო ქუჩაში... ჩვენი დერეკიკი
მიხოც მიმჯდარიეო სახელოსნოს ერთს კუნჭულში,
ახალუხი გაეფარღალავებინა, ოფლი თქარა-თქურით
ჩამოსდიოდა.... ამ დროს, სად იეო და სად არა, ქუ-
ჩაში მოესმა ერთი გლეხი კაცის ხმა: „ქლიავი, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქლიავი, გასასუიდი ქლიავი, მწიფე ქლიავი“. მიხო დერციკმა მოისურვა ამ ქლიავით ჰირის ჩაგეძრიელება; დაუძახა გლეხს, ორი გროშის ქლიავი იყიდა და იქვე მზის ჰირათ დაყარა სახელოსნოში და თვითონ კერვას შეუდგა. ზის მიხო დერციკი, ჰკერავს, ჩქარობს, ჭაბისთვის ვერ იცლის. ქლიავი კი იქვე ჰერია და აუარებელი ბუზები ეხვევა მას. მიხოს გული მოსდის, უქშევს ხშირ-ხშირათ, მაგრამ ესენი თავისას არ იშლიან და მრავალ-მრავლობით ეხვევიან ამ მწიფე ქლიავს... ახლა კი მიხო მოთმინებიდან გამოვიდა, წამოდგა და სთქვა: „თქვენი ნებით არ გინდათ მომშორდეთ და ახლა მე გიჩვენებთო“ სთქვა ესა, წამოუსო ხელი ბუზებს და ერთი ხელის მოსმით შვიდი ბუზი გაჭყლიტა.... გაოცდა და გაიკვირა მიხომ ეს ვაჟ-კაცობა... კიდევ ხელის გულზედ დაიხედა და სთქვა. „ეოჩაღ, მიხო, ვაშა შენს გმირობას, აბა ბიჭიც მე ვეოფილვარ და ქუდიც მე მსურებია! გაგონილა ეს... მიხომ ერთი ხელის მოსმითაო, შვიდი ბუზი გასრისაო“.

„ახლა კი შემიძლიან თავი დავანებო ჩემს უბედურ ხელობას, წავიდე სადმე და სხვაგან საგმირო, საგაჟ-კაცო საქმეები ჩავიდინოო, სთქვა ეს, გუდაში ეველი ჩაიდო, ქაბარზე დაიწერა:

„ერთი ხელის მოსმითაო,
შვიდივენი გასრისაო“—

ამ სიტყვას—სიტყვა ბუზი გამოაკლო, აიღო ჯოხი და გაუდგა გზას. გზაზე ეკლებში გაბმული ჩიტი დაინახა, გაანთავისუფლა და ესეც ჯიბეში ჩაიდო „გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომადგებაო“ და მარჯვნივ გადაუხვია. იარა, ბევრი იარა, ცხრა მთა გადაიარა და ერთს გაუვალ ტყეს მიადგა... შორიდან რაღაც გმინვა—ხვრინვა მოესმა.... გასწია იქითკენ და შენიშნა, რომ ერთს უზარ-მაზარ ხის ქვეშ ზის უზარ-მაზარი დევი და იზლაზნება.. ამას ის იყო გამოჭუვიმებოდა და ურმის ტოლა თავის თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

მიხო თამამათ მივიდა დევთან და გამარჯობა უთხრა. დევს ეწყინა ასეთი კადნიერება ადამიანისა და შეჰკვირა:—შენ ვინა ხარ, რომ ასე თამამათ მელაპარაკებიო, შენ არ იცი, რომ ამ ტყეში ჩემი შიშით ზევით ფრინველი არ გაიწაწანებს და ქვეით ჭიანჭველაო! თუ სიცოცხლე არ მოგჭარბებია, გამეცალე აქედან, თორემ მზესა და მთვარეს დაგიბნელებო? სთქვა ესა და მიიწია მიხოსაკენ... იგი მეტის მეტად გაჯავრებულიყო.

— რომ მიტევ, რას მიტევ, შენ ჩემი გმირობის ამბავი არ იცი და ამიხათვისაც არი, რომ აგრე ამაყოფო. აბა წაიკითხე ქამარზედ რა მიწერიაო. დევმა წაიკითხა:

„ერთი ხელის მოსმითაო,
შვიდივენი გასრისაო“

დევი ცოტა არა შეეოუმანდა.... გაოცებული უცქერდა მიხოს და უკვირდა, რომ ამისთანა ჰატარა და სუსტს კაცს ამისთანა გმირობა ჩაუდენია.... მაინც კიდევ უნდოდა გამოეცადნა იგი და უთხრა:—აბა, ამისთანა ქვა—მტვრათ აქციეო და ეოჩაღს მაშინ დაგიმახებო. დევმა აიღო ქვა, მოუჭირა ხელი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ მტვრათ აქცია, მტვრის უშველებელი კორიანტელი დააყენა.

— ეგ რა არისო, უთხრა მიხომ—აი ვაჟ-კაცობა ამასა ჰქვიანო: გუდიდან ეველი ამოიღო, მოუჭირა ხელი და წყალი გამოადენინა.

დევს ამ სანახაობით თავ-ხარი დაეცა, მაგრამ მაინც გული არ გაიტეხა და უთხრა:—,,აბა ქვას ვინ უფრო მაღლა აისროისო'' აიღო დევმა უშველებელი ქვა და შეისროლა მაღლა... თითქმის ზეცამდის მიახწევინა ქვას, მაგრამ ისევ ისე ჩამოვარდა დედა-მიწაზედ.

— ეგ რა არისო, შენი ქვა ისევ ისე ჩამოვარდაო: ვაჟ-კაცობა ეს არის, რასაც მე ჩავიდენო: ქვას ისე შევაგდებ ზევითაო, რომ იქიდან დაბრუნებული ვეღარა ნახოო. უბიდან გამოიუვანა ჩიტი და აისროლა მაღლა. ჩიტს თავისუფლება რომ მიეცა, გახარებული წავიდა სულ მაღლა-მაღლა და მალე თვალიდან დაეკარგათ ორივეს. ამისთანა ამბავმა უფრო ძლიერ გააკვირვა დევი და მესამე წინადადება მისცა:

— ამ უშველებელ ხეს მე ძირიან-ფესვიანათ ამოვიღებ, თავ-ხეს მე წაძოვიღებ და ტოტები შენ წამოათრიე და აბა ვინ უფრო მალე დაიღლებაო.

— კარგიო, უთხრა მიხომ, ეგეც ადვილი საქმესახურიაო. დევმა ძირიან-ფესვიანათ ამოგლიჯა ხე, ტოტები დააჭრა და მიხოს მისცა სათრეველათ და თვითონ კი უზარ-მაზარი თავ-ხე მოიბა უკან... მიხომ თავისი ტვირთი ჩუმათ დევის ტვირთს მოაბა, თვითონაც ზედ დააჯდა და გაუდგნენ გზას. დევს მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის-მეტი სიმძიმით ფეხები ეკვეთებოდა, ოფლი წურ-
წურით ჩამოსდიოდა და ძალე დაღლილობისაგან წაი-
ჩოქა კიდეც... მიხო მივიდა დევთან და უთხრა:—თუ
მეტი არ შეგიძლიან, რაღასა ტრაბახობო... ხომ ჭხე-
დავ მე ერთი ბეწო დაღლილობაც არ მიგრძვნიაო.
დევმა ცოტა დაისვენა, სული მოიბრუნა და ასე უთ-
ხრა მიხოს:—,,შენ მართლა რომ გმირი კაცი ეო-
ფილხარ, წამოდი ჩემთან და ჩემს ძმებს გაგაცნობო.
გაუდგნენ გზასა.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ცხრა მთა გა-
დალახეს და მიადგნენ ერთს სასახლეს... ეზოში ორი
დევი დაფუსფუსებდა... მივიდნენ და დიდმა დევმა გააც-
ნო მიხოს თავისი ძმები... მიხომ მოხდენილათ თავი
დაუკრა.

დევებმა ჰკითხეს, შენი სახელი რა არისო?
მიხომ უპასუხა: ჩემი სახელი და ამბავი აი ამ
ქაქარზედა სწერიაო. დევებმა წაიკითხეს ეს სიტყვები:

,,ერთი ხელის მოსმითაო,
შვიდივენი გასრისაო''...

გაოცდენ ესენიც და თავის უფროსს ძმას საუ-
ვედური უთხრეს თავიანთ ენაზედ:—აბა რა გინდოდა,
რომ ამისთანა გმირს ჩვენი ბინა აჩვენეო. საღა-
მომდის არაფერი არ აჭამეს და ღამე კი ვახშმათ
მიიპატიჟეს... ვახშმის შემდეგ მიხოს უშველებელ ტახ-
ტზედ ლოგინი გაუშალეს დევებმა და მისი მოკვლა
განიზრახეს. მიხო გრძნობდა ამასა და იქვე ახლო
თახჩაში ჩაძვრა და იქ დაიძინა... შუაღამე რომ მოა-
ტანა, დიდმა დევმა აიღო ცული და დაუშინა ტახტს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტახტი ლუკმა-ლუკმა აქცია, ეგონა სტუმარსაც მოხ-ვდებოდა ცულიო... შემდეგ ამისა წავიდა დევი და და-იძინა. მეორე დღეს მიხო ადგა და დევებს დაუწყო ღვიძება. დევებმა რომ მიხო ცოცხალი დაინახეს, გუ-ლები გაუსკდათ შიშისაგან, წამოცვივდნენ და გაიქ-ცნენ... ჩვენ აქ ადარ დაგვედგომება, სადაც ამან ერთი ხელის მოსმით შვიდივენი გასწყვიტა, აბა ჩვენ რალა კეთილს დაგვაურისო".

მიხოს დარჩა ბურთი და მოედანი... ორი დღე დარჩა აქა, მერე კი მოეწყინა და გაუდგა გზასა...

(დასასრული იქნება)

ალ. ნათაძე.



ახალ წლის მილოცვა:

შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი,
ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა.

მოხერხებული პირობა.

ერთ მდიდარ ვაჭართან ღარიბი კაცი მივიდა და სთხოვა: ერთი თვე მუქთათ შემინახე და შენ სიკეთეს თავის დღეში არ დავივიწყებო. არა, ძმაო, უპასუხა ვაჭარმა, მე მუქთათ არავის არაფერს ვაძლევო. თუ გინდა რომ შეგინახო, ფული მომეციო. დაღონდა საწყალი კაცი. იფიქრა, იფიქრა და ასე უთხრა: მე შენ ყოველ დღე თითო მანეთს მოგცემ, სანამ თვე არ შესრულდება. შენ კი პირველ დღეს კაპეიკის მეოთხედი მომეცი, მეორე დღეს ნახევარი კაპეიკი, მესამე დღეს ერთი კაპეიკი. ერთი სიტყვით, ყოველ დღე, წინა დღეზე ორჯელ მეტი მაძლიე. სანამ თვე არ გავა.—ძალიან კარგი, დათანხმდა ვაჭარი.—რატომაც არ მოგცემ, რა ბევრს შენა თხოულობო. შეიტყეთ ვის დარჩა მოგება ერთი თვის შემდეგ?

—

— რამდენი თითი გაბია, მიხო, მაგ მარჯვენაზე? ჰკითხა ირაკლიმ.

— ხუთი.—რამდენი დღეა წელიწადში? ხელ-ახლათ ჰკითხა ირაკლიმ.—სამას სამოცდა ხუთი.—მართალია. უთხრა ირაკლიმ. აბა ეხლა გამოიცანი, როდის იქნება წელიწადში იმდენი დღე, რამდენიც თითი გაბია მარჯვენაზე? აბა თუ კაცი ხარ და მიხვდები.

მიხო აქამდის ვერ მიმხვდარა გამოცანას!

რებუსი.

(წარმოდგენილი ქართულ გიმნაზიის მოწაფის ირაკლი ფურცელაძის მიერ.)



ეროვნული
ბიბლიოთეკა



გუნეგის ნიაღში.

სერზე ვდგევარ. გარს მარტ-
ყია:
მარჯვნივ—გორა, მარცხნივ—
სერი,
უკან—ხშირი ტევრი ტყეა,
წინ—სჩქეფს წყარო, მშვენიერი!
თავს დამნათის კაშკაშა მზე,
არე-მარეს აგვირისტებს
და სიცოცხლის ნექტარს ასმევს
გადაფურჩქვნილ ფოთოლ-კვირ-
ტებს.
ქვეშ მივია დანამული
მობიბინე მწვანე მდელო
და ვიძახი ფრთა-შესხმული:
ედემია საქართველო!

ვ. რუხაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკორას სიკვდილი

ოდესაც ილიკო ქართულ ურემში შეაბამდა ნიკორასა და წაბლას, ზედ მარდათ შეხტებოდა და „ჰარიარალე-არალე“-თი მთისაკენ გაემართებოდა, საჩინო დიდხანს მიჩერებოდა ტკბილის ლილინით მიმავალ შვილს. ურეკი რომ გორაკს მოეფარებოდა, კმაყოფილის სახით საჩინო ცას შეხედავდა, თითქოს ღმერთს შესთხოვსო, და თავის საქმეს შეუდგებოდა.

— კარგი ბიჭი დადგა ჩვენი ილიკო, არა, ელისაბედ!

— მაგას კი დეენაცვლოს მაგისი დედა, კმაყოფილებით წაილაპარაკებდა ელისაბედი.

— ერთია მარა, თვალია სოფლის, თვალი! იტყოდენ ხოლმე სოფელში.

თექვსმეტის წლისა იყო ილიკო, მაგრამ საქმიანობით ოცდა ხუთისას არ დაუვარდებოდა. დღე და ღამე ჯარასავით ტრიალებდა: თუ სახლს აკეთებდა, თუ ვენახს უვლიდა. მთიდან შეშას ეზიდებოდა და ბაზარში ჰყიდდა.

დანარჩენ დროს ქვაში მუშაობდა, და თავისის ხელით ისეთი ამერიკული ვაზის ვენახი გააშენა კარზე, რომ გამვლელ-გამომვლელს ზედ თვალი რჩებოდა.

— რამდენი ძირია შენი ვენახი, საჩინო?

— ბევრი არაფერი, ორი ათასზე ცოტა მეტია, უპასუხებდა საჩინო.

— ოჰო, ძალიან გიმუყაითნია!

საჩინომაც კარგათ იცოდა, რომ ორი ათასი ძირი ახალი ვენახი გლეხიკაცისათვის მთელი სიმდიდრე იყო, მაგრამ ტრაბახი არ უყვარდა.

— ჩემი ვენახი მე კი არა, წაბლამა და ნიკორამ გამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთეს თავისი ქედით, თავმომწონეთ იტყოდა ხოლმე ილიკო და ამაყათ გადაავლებდა თვალს თავის ხარებს. მამა შვილს ისე არ მოუვლის, ილიკო რომ წაბლასა და ნიკორას უვლიდა. ისე ჰყავდა დასუქებული, რომ ავის თვალით არ ინახებოდა. განსაკუთრებით ლამაზი იყო ყორანივით შავი, შუბლზე თეთრ ნიშანიანი და რქებ აბზეკილი ნიკორა.

— ხარების ნეფეა, ხარების ნეფე ჩემი ნიკორა, სიამოვნებით იტყოდა ილიკო და გადუსვამდა ნიკორას ხელს კისერზე.

ნიკორასა და წაბლას უღელი კარგი კამბეჩი ვერ შეედრებოდა. გინდა ასი ფუთი წაეღოთ, გინდა ერთი—მათთვის სულ ერთი იყო. ქვაში მუშაობამ რომ აიწია, ილიკოს ოცდა თექვსმეტი თუმანი აძლიეს, მაგრამ თავის წაბლასა და ნიკორას წონა ოქროში არ შეელეოდა.

— განა ძმას კაცი გაჰყიდის? ძმა რომ მყავდეს ჩემი ნიკორა ძმას მერჩევნება. ბევრჯელ უთქვამს ილიკოს.

—

— მიწა კი დაეყარა ამ თვალებს, ეს ბიჭი რომ უღონოთ არ იყოს ასე მალე არ დაბრუნდებოდა, წამოიძახა ელისაბედმა, როდესაც ორღობეში ილიკოს თვალი მოჰკრა. ილიკო ქვაში წავიდა ურმით ორის კვირით და რამოდენიმე დღის შემდეგ კი დაბრუნდა.

— ბიჭო! ხომ არა გტკივა-რა? დედა შემოგევლოს, შვილო. მიეალერსა დერეფანში შემოსულ ილიკოს გულ გახეთქილი ელისაბედი.

— მე კი არა მტკივა-რა, მაგრამ ნიკორა არა მყავს კარგათ და ამიტომ დავბრუნდი, ნაღვლიანათ წარმოსთქვა ილიკომ და დაუწყო ხარებს გამოხსნა უღლიდან.

— შენ მეყოლებოდე, შვილო, კარგათ და ნიკორას შენი ჭირიც წაუღია!

— ეს თუ მოგვიკვდა, აბა მაშინ აგვიშენდება ოჯახი.

— რა მოკლავს, შვილო, წყალს ჩააყოლებდა რასმე, ალმასის წყალი დავალევინოთ და კარგათ გახდება.

დერეფანში დაადგა ილიკომ ნიკორა, უფრო კარგათ მოუვლიო, დაიურვა, ახალუხის კალთით თვალები ამოუწმინდა; დიდხანს უსვა შუბლზე ხელები და თან თვალებში ჩას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩერებოდა, თითქოს უნდოდა, აქ-ამოეკითხა ნიკორას სევდა და გულის პასუხი. გადვიდა ყანაში, მოიტანა ახალი სიმიდი და ბალახი, დაუყარა ნიკორას, ზურგზე ფარდაგი გადააფარა. შემდეგ გაიქცა მეზობლისას, რომელსაც ალმასის ბეჭედი ჰქონდა; მოიტანა ალმასის წყალი, გაუღო ნიკორას პირი და ჩაასხა შიგ.

წყნარათ იდგა ნიკორა, ხვნეშით სუნთქავდა და ბალახს ტუჩს არ აკარებდა. ნესტოებიდან და პირიდან ლორწყი სდიოდა, ლამაზ ღრმა თვალებში სევდა იხატებოდა,—ალბათ ნიკორას გამოუთქმელი ტანჯვა აწუხებდა.

— რა გაწუხებს, ნიკორა, ჩემო ნიკორა! რატომ არ მეტყვი! წაილაპარაკა ილიკომ. ნიკორას თავზე ხელი შამოადო, ყბაზე ლოყა დაადო და შუბლზე და თვალზე ხელს უსვამდა.

— მოეცალე, შვილო, გადამდები არ იყოს რა, ხუზარა დადისო, ასე ამბობენ, უთხრა ელისაბედმა.

ნიკორა უძრავათ იდგა, დრო და დრო ხვნეშით სუნთქავდა, თითქოს მიმხვდარიყო პატრონის სევდას.

— რატომ მე არა ვარ ავათ შენ მაგიერათ? წაილაპარაკა ილიკომ და თვალებზე ცრემლები მოადგა.

— რას თავს იგდებ! ხარი კი არა ცოლ-შვილი ეხოცებათ ადამიანებს და თან არავინ ჩაყოლია და რა გახდა ეს შენი ნიკორა! წყრომით წარმოსთქვა საჩინომ. დარისპანი გადმოიყვანე, იქნება მოუხერხოს რამე.

დარისპანი განთქმული იყო საქონლის წამლობაში და ილიკოც იმისკენ გაეშურა. დარისპანმა აათვალიერ-ჩაათვალიერა ნიკორა, ფერდებზე ხელები შამოადვა, ჩლიქები გაუსინჯა, პირში ჩახედა.

— ან თვალ ნაკრავია, ან ხუზარა იქნება. წარმოსთქვა მან ბოლოს. ხვალ ყველაფერი შეეტყობა. თვალნაკრავის წამალს კი მოგცემთ და, თუ ხუზარა გამოდგა, არაფერი არ ეშველება.

— სულ დამიჟინია, რომ იმ ბებერს ავი თვალი აქვს, ავი და არა გჯერათ, წარმოსთქვა ელისაბედმა.

— ვინ ბებერს, ქალო?

— ვისა და ბიცოლა შენია, თუ რაღაც კვინტრიშა!

— აი მაიასა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოო სწორეთ მაიას. ამ გაზაფხულზე, როგორც კოთვალი მოჰკრა ჩემ ჭუკებს, და „ვაი საყვარელოვო“ დაატანა, ერთ კვირეში გაწყდა თორმეტივე; მერე სულ ვუმალავდი იმ არ გადასარჩენს, მარა მაინც მოასწრო თვალი. რამდენჯერ ნიკორას შეხედავდა, იმდენჯერ იტყოდა: „ვაი რა ხარი ხარო, ნეტავი შენს პატრონსაო“, იმისმა პატრონმა კი იძახა იმაზე ვაი, სულ იმის ბრალია იმ კუდიანის,—ცხაროობდა ელისაბედი.

თვალნაკრავის წამალიც დაალევინეს ნიკორას, მაგრამ მაინც არა უშველა რა.

ბუხრაძის ქვრივმა თათიამ იცის კაი წამალი, ასწავლეს ილიკოს; ისიც მოიტანა, მაგრამ ნიკორა უკან და უკან მიდიოდა; სულ იწვა, აღარ დგებოდა, ტუჩები და ცხვირი დაუსივდა და დაულურჯდა. ოთხი დღის ავათმყოფობის შემდეგ ნიკორა თავს ვეღარ იჭერდა, და როცა ხრიალი ატანა, საჩინომ გძელ დანას წამოავლო ხელი.

— უდანოთ მაინც ნუ მოვკლავთ, წამოილაპარაკა მან, და ნიკორას დასაკლავათ მოემზადა. ის იყო, უნდა გაეყარა ყელში დანა, რომ კუთხეში ჩაფიქრებულათ მჯდომმა ილიკომ მოიხედა, წამოვარდა ზეზე და მამას ხელში ეცა.

— ღმერთი არა გწამს? ეგ გვარჩენდა და გვაჭმევდა და სიკვდილსაც აღარ დააცლი?

— ამდენი ხორცი რომ გადავყაროთ, შვილო, რა ჭკუაა, ან ვინ მოგვიწონებს.

— ნიკორას ხორცი ღმერთმა ნუ შემაჭამოს.

— სხვა შეჭამს, შვილო, ამხელა სოფელში ხორცს ვინ არ იყიდის ახლა?

— არც სხვას შევაჭმევ ნიკორას ხორცს. მოეხვია ილიკო ნიკორას და ცრემლ მორეულს სული ყელში მიებჯინა.

— ჩემო ურმის დამამშვენებელო, წაბლა რაღათ მინდა უშენოთ!

ნიკორამ ერთი ამოიზუვლა და გადაგორდა გვერდზე.

— შვილო, ერთ ნიკორას კი არა, ათას და ორი ათას ნიკორასაც შენი ჭირი წაუღია, ამშვიდებდა შვილს ელისაბედი.

— აბა ამოდენა ხორცის დაკარგვა რა ჭკუა იყო, თორემ ჰო! სულ ცოტა ხუთ თუმანს მაინც ავიღებდით და კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო! იძახდა საჩინო. გავატყაოთ მაინც, როდემდის ვუყუროთ ასე.

— არ გაგატყავებინებ, არა! წამოიძახა ილიკომ.

— შენ, შვილო, სრულ ჭკუაზე არა ხარ მგონია, რომელი მილიონჩიკი ჩვენა ვართ, რომ ამხელა ტყავი ძაღლებს შევაჭამოთ, სადაურს ლაპარაკობ?

— სადაურსა და ჩვენებურს. ნიკორა ჩემი იყო, ჩემი! მე დავმარხავ მაგას ჩემი ახალი ვენახის თავზე. არავის დასაგლეჯათ არ გავხდი მაგის ტყავს, წარმოთქვა ილიკომ და ზლუქუნი აუვარდა.

ივ. გომართელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილების და ფოსტის გაგზავნ-გამოგზავნის ისტორია.

(ბერლინისა.)

ძველეს დროიდან, დაიწყო ხალხთა შორის მშვიდობიანი მიმოსვლა. ჯერ კიდევ 2000 წლის წინეთ ვაჭრობა აკავშირებდა ერთმანეთს ევროპის ბარბაროსულ თემებს, (ახლანდელ საფრანგეთის და კავკასიის ულელ-ტეხილის შუა მცხოვრებს). ეხლაც, ხალხთა შორის, რომელთაც ჩვენ გაუნათლებელ, ველურებს ვეძახით, სუფევს მშვიდობიანი დამოკიდებულება. როდესაც დასჭირდებათ რაიმე საგანი—მისთვის ველური კაცი მიდის შორს, რამოდენიმე თვე უნდება ამ მოგზაურობას და შოულობს რასაც კი საჭიროობს. ამ მოგზაურობის დროს უნდა გაიაროს სხვა თემთა მიწები, მაგრამ მას ხელს არვინ ახლებს, სტუმართა მოყვარეობა მათი ადათია და მგზავრს იფარავს ყველგან. სამშვიდობოთ მისულ მგზავრს ყოველგან მზათ დახვდება ბინა და საჭმელ-სასმელი, მგზავრი მადლობას იმითი უხდის, რომ უამბობს ხოლმე „ახალ ამბებს“

ეს ჩვეულება ძველის-ძველათ მოდის. უკვე, ოდისსეი, რომელიც კარგათ მიიღო თეაკიელების მეფემ ალკინოემ, ართობდა მასპინძლებს თავის ურიცხვი მოგზაურობის ამბებით. თვითონ მეფის მეუღლე სთხოვდა: „მგზავრო, გვითხარ, ვინა ხარ, სადაური? შენ ამბობ, რომ ქარიშხალმა გადმოგტყორცნა ამ ნაპირებზე? მეფეც ეკითხებოდა: გვიამბე გულწრფელათ, გულ-ახდილათ, რა ზღვები ნახე, რა ხალხი შეგხვდა? აგვიწერე მათი ქალაქები, გვითხარი იყვენ თუ არა მათ შორის ველურები, რომელნიც ყოველ სიმართლეს მოკლებულნი იყვენ; ან მგზავრისთვის კეთილნი, სხვა ქვეყნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადათის მიხედვით. ამავე კითხვით მიმართავს ხოლმე ეხლა-
რომელიმე მიკარგული ქვეყნის მცხოვრები უცხოდან მოსულ
მგზავრს და მოუთმენლათ მოელის, რას უამბობს მგზავრი
ნანახზე და გაგონილზე გზაში. როდესაც იაკუტი ჩრდი-
ლოეთში მისულ მგზავრს გაუმასპინძლდება, მიართმევს ყვე-
ლაფერს, რაც საუკეთესო რამე აქვს ოჯახში შენახული ამ
დიდ-მნიშვნელოვან დღისათვის, მაშინ სტუმრებს ირგვლივ
შემოერტყმებიან ყველა მასპინძელის ნათესავები, მეზობლები
და ვინც ყველაზე მოხუცია მიუახლოვდება სტუმარსა და
სთხოვს: მოგვიყევი, მეგობარო, ახალი ამბები.

ამ მგზავრების შემწეობით როგორცა ვთქვით, მიყრუებ-
ული ადგილები არა ჰკარგავენ კავშირს ურთიერთ შორის.
რასაც მგზავრი გაიგებს ერთ ადგილას, უამბობს თავის მასპინ-
ძელს, მასპინძელი მეორეს და ასე წავა ეს ამბავი და მოივ-
ლის მრავალ ქვეყნებს.

ერთი თანამედროვე მწერალი, რომელმაც მოიარა კირ-
გიზების გავერანებული ველ-მინდვრები, გვიამბობს შემდეგს:
ახალი ამბავი თვითონ დაიბადება, თუ მოირბენს სხვაგნიდან—
სულ ერთია, მას ფრთები ასხია, მოფრინავს ცხენოსნის შემწე-
ობით—ცხენოსნამდე, სოფლიდან—სოფლამდე.

„ახალი ამბავი?“ იკითხავს ერთი.

„მაქვს“, უპასუხებს მეორე.

ცხენები შედგებიან, მგზავრები იმუსაიფებენ, მოსწევენ
თამბაქოს, მერე განშორდებიან ერთმანეთს.

და ახალი ამბავი გაიქცევა, როგორც ქარი და მოედება
არე-მარეს. ამნაირათ, როდესაც გამართეს პირველათ აეროპ-
ლანები, ეს ამბავი ყრუ მინდორ-ველ ადგილებში გაიგეს, და
ამბობდენ, რომ სადღაც უცხო ქვეყნებში ადამიანი, როგორ-
ფრინველი დაფრინავსო. ამნაირათვე ამერიკის ტყე-ველებს
მოედო ამბავი, რომ მოვიდა ვიღაც ფერ-მკრთალი ადა-
მიანი. ამ თეთრი ხალხის მოსვლა ამერიკელებმა იცოდენ ბევ-
რათ უფრო ადრე, ვიდრე შეხვდებოდენ მათ პირის-პირ.

უძველეს ინკების სამეფოში, პერუში, ამბების გადაცემა
არ იყო დამოკიდებული მხოლოდ შემთხვევაზედ, არამედ
უფრო წესიერათ იყო მოწყობილი: დიდ გზებზე, ერთი მეო-
რეზედ დაახლოებით, ქოხები იყო აშენებული, სადაც თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიფარებდენ ორი ჩქარ-მავალი მოამბე. როგორც კი ბა-
გებდენ ახალს ამბავს ერთი მათგანი გაიქცეოდა მახლობელ
ქოხში და გადასცემდა გაგონილ ამბავს, მერე ამ ქოხიდან მე-
ორე მოამბე გაიქცეოდა მესამე ქოხში, მესამე ქოხის მოამბე
მეოთხეში და ამ რიგათ ამბავი მივიდოდა დანიშნულ ადგილზე.

პირველ ყოფილმა ხალხმა კიდევ ბევრი საშვალება მოი-
გონა ამბების გადასაცემათ დიდ მანძილზედაც.

ამბავს აცნობებდენ მაღალ ადგილებზედ ცეცხლის და-
თებით. ეს ჩვეულება უძველეს დროშიც იყო შემოღებული.
ახლაც ხმარობენ ამ საშუალებას ავსტრალიელი მონადირეები.
ამ გვარათვე, ჰომერის სიტყვით, ახეის მეომრებმა გადასცეს
ერთი კუნძულიდან მეორეზე ტროიადის აღება და თავიანთი
სამშობლოს გამარჯვება.

ზოგიერთმა პირველ-ყოფილმა ხალხმა მოიგონა უფრო
გასაოცარი საშვალება შორეულ ადგილებში უწერილოთ ამ-
ბების გადაცემისა.

შუა აფრიკაში, ლამის წყვდიადში მოგესმებათ დაფა-ნა-
ლარის ხმა; ეს ხმები მოისმის სხვა და სხვა მხრიდან, ხან ჩქარ-
ჩქარა, წვრილათ და ხან კი დრო-გამოშვებით, ასე ძუსაიფო-
ბენ ზანგები სხვა-და-სხვა საგნებზედ.

ამ „ენით“, გვიამბობს ერთი მოგზაური, ზანგები ელა-
პარაკებიან ერთმანეთს რამოდენიმე ვერსის მანძილზედ, თუ
უნდათ გაიგონ რამე, უამბონ ერთმანეთს ამბავი დაუძახონ
ვინმე, დასცინონ, გალანძღონ. ეს ისეთი ენაა, რომლის შეს-
წავლა ევროპიელისათვის ფრიად ძნელია, მით უმეტეს, რომ
ზანგები არ ამხელენ და მალვენ მას. ზანგების გარდა ასევე
ენით ლაპარაკობენ ბევრნი კუნძულების მცხოვრებლები და
თვით წითელ-კანიანი ხალხიც.

ამ რიგათ პირველ-ყოფილმა ადამიანმა, თუმცა არ იცის
წერა, მაგრამ აქვს თავისი ფოსტა და თავისი უმავთულო ტე-
ლეგრაფიც.

უძველეს დროის ფოსტა და წერილების მიწოდება.

რამოდენიმე ათასი წლის წინეთ, როდესაც ევროპა კიდევ
ველური ქვეყანა იყო, და მათი მკვიდრნი ეხლანდელ აფრიკე-
ლებზე მაღლა არ იდგენ, ხმელეთთა შუა, აღმოსავლეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთხეში შეიქმნა ორი დიდი სახელმწიფო, თავიანთი რთული წესწყობილებით; ამ სახელმწიფოებში მოთავსებული იყვენ მრავალ-ფეროვანი თემები.

ძველი ეგვიპტის მეფეები, აგრეთვე ბაბილონისა, ამბობდენ, რომ მათ დაიპყრეს მთელი ქვეყანა, დაიმორჩილეს ყველა ქვეყნები, და გაამეფეს შიში ზეცამდის მიღწეული, მაგრამ იმ ძველ დროშიაც ესმოდათ, რომ სახელმწიფოს დიდება და ძლიერება მარტო სივრცით არ გაიზომება, არამედ მის წესიერათ მოწყობაში. ამიტომაც ყოველ წარწერებში, სადაც ადიდებდენ მეფეებს, მით სამხედრო მოქმედებასთან ერთად ასახელებენ სხვა-კეთილ-მშვიდობიან საქმეებსაც, რომელიც სახელმწიფოს მოუტანდა სიკეთეს. მფლობელებს ასახელებდენ არა მარტო, როგორც ,,მტრის შემმუსვრელს'', არამედ, როგორც ,,ბრძენს მოძღვარს'', რომელიც ცდილობს, რომ ქვეყანა მისი მშვიდობიანათ ცხოვრობდეს: გაჰყავდეს არხები, რგავდეს ხეებს, აკეთებდეს ჭებს, გზებს, ანოყიერებდეს უდაბნოებს და გასცემდეს ისეთ სასტიკ კანონებს, რომ ,,ძლიერი არ ჩაგრავდეს უძლურს, რომ ქვრივ-ობოლი მოკლებულნი არ იყვენ მფარველობას''.

ასეთი სახელმწიფოს მფარველი უყურებდა თავის სახელმწიფოს, ისე როგორც თავის საკუთრებას. მან იცოდა ყოველისფერი, რაც ხდებოდა მის სახელმწიფოში, არაფერი არ გამოეპარებოდა, სხვა და სხვა ადგილების უმფროსები იყვენ მხოლოდ მისი მოურავები, რომელნიც აძლევდენ მას თავის მოქმედების ანგარიშს და მის განკარგულებას ასრულებდენ. ამისათვის ამ ქვეყნებში უძველეს დროიდან სუფევდა სწორი ფოსტის მიმოსვლა სამეფო ქალაქიდან სხვა და სხვა ოლქებ შუა. სახელმწიფოს ერთი კუთხიდან მეორეში მოდიოდენ შიკრიკები ნაწერი განკარგულებებით და სხვა და სხვა მოხსენებებით. მსწავლულებმა გამოაქვეყნეს მრავალი წერილები, რომელნიც დამარხულნი იყვენ ნანგრევებ ქვეშ ათასი წლობით. ეს წერილები იმიტომ იყო მშვენივრათ შენახული, რომ ჩვენებურ ქაღალდზე არ იყო დაწერილი, არამედ თიხის ფირფიტებზე. სანამ თიხის ფირფიტოები ჯერ კიდევ სველი იყო დააწერდენ ლურსმანით თავის წარწერებს, მერე აშრობდენ მზეზე ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლზედ, ბოლოს ჩასდებდენ თიხისავე კოლოფში, ზედ-ან გაფუჭებულიყო, და ჩააბარებდენ შიკრიკს წასაღებათ.

ასეთივე იყო წერილით განკარგულება, რომელსაც ჯერ კიდევ 4000 წლის წინეთ უგზავნიდა თავის მოურავებს აბრაამის თანამედროვე, ბაბილონელი მეფე, გამმურაბი. ამ წერილების შინაარსიდან ვიცით, რომ მეფე გასცემდა ისეთივე ბრძანებებს, როგორც ბატონ-ყმობის დროს მემამულე თავის მოურავს. მეფე უგდებდა ყურს, რომ მათ სავსებით აეკრიფათ ხარჯი, ყოველი გადასახადები, რომ არ დაგვიანებულიყო ჭირნახულის მოგროვება; რომ დროზედ გაესუფთავებინათ გზები, გაეწმინდათ არხები, გაეყვანათ ახალი გზები, სადაც საჭირო იყო; რომ ქვეშევრდომნი დროზე გამოსულიყვენ სამუშაოზე და საკმარისნი რიცხვით, და თუ მოურავი ვერ მოასწრებდა ნაბრძანების ასრულებას, მაშინ მეფე ემუქრებოდა, მისგან დანაკლისის აღებას. მეფე განრისხებული სწერდა ერთს მოურავს: „რატომ ჯერ კიდევ არ არის აშენებული ხომალდები, როგორც ნაბრძანები მქონდა? როგორც კი მიიღებ ამ წერილს, დააყენე რამ დენიც საჭირო იქნება ხუროები სამუშაოთ და თუ არ აასრულებ ამას, შენ გადაგახდევინებ ზარალს“.

ბაბილონში წერილებს სწერდენ და შიკრიკებს გზავნიდენ არა მარტო მეფეები. უძველეს დროიდან აქ გაჩაღებული იყო ვაჭრობა და მრეწველობა. ზოგიერთი მაშინდელი დაწესებულება მოგაგონებთ ეხლანდელ დიდრონ სავაჭრო ფირმებს. მათ ჰქონდათ განყოფილებები სოფლებში, და კავშირი შორეულ მაზრებთან, სადაც ჰგზავნიდენ თავის კაცებს. საჭირო იყო, რომ ასეთ დაწესებულებას ჰქონოდა მიწერ-მოწერა.

იმ დროს წერილი იგზავნებოდა არა მარტო სახელმწიფოს ფარგლებში. აღმოსავლეთის სამეფოები მარტო არ ომობდენ ერთმანეთ-შორის, არამედ ხალხი ეფრატ ს და ნილოსის შუა უძველეს დროიდან იყვენ კეთილ განწყობილებაში და კავშირიც ჰქონდათ ერთმანეთ-შორის. როგორც პარიზი და ლონდონია ევროპაში, ისე ბაბილონი იყო აღმოსავლეთისათვის მოდების გამომცემი და ითვლებოდა ვაჭრობის დედა-ქალაქათ. როგორც XVIII საუკუნეში ფრანგული ენა გახდა საერთო ენათ ევროპაში, ისე ძველ აღმოსავლეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეფოებში ერთა შორის, შემოღებული იყო ბაბილონური ლურსმნური წერა.

ფარაონ ამენგოტეპა IV-ის, რომელიც სცხოვრობდა 1400 წლის წინეთ ქრისტეს დაბადებამდე, სასახლის ადგილზე ნახეს მთელი არქივი, სავსე ასეთი ლურსმნური ნაწერებით თიხის ფირფიტოებზე. აქვე იპოვეს წერილები აზიის პატარ-პატარა მეგობარ მეფეებისა, სირიის და ქანაანის მეფის მოადგილეების მოხსენებებიც თავიანთ მფლობელთან; ძალიან ძნელი იყო ლურსმნური წერა, რადგანაც დამწერს უნდა დაენახსოვებინა 400 სხვა და სხვა ნიშანი; წერა მით უფრო საძნელო იყო, რომ აღმოსავლეთის ხალხს უყვარს მაღალ აღფრთოვანებული კილოს ხმარება წერილში.

ამრიგათ, ხშირად, მიმართვა წერილში შეადგენდა წერილის უმთავრეს ნაწილს. ძნელი იყო იმ დროის წერილების წერა, და არა ნაკლებ ძნელი იყო მათი მიტანა დანიშნულ ადგილზე. გზა იყო შორი და ცუდი, შიკრიკს თავს გადახდებოდა ბევრი განსაცდელი და ხიფათი. ვიდაც ეგვიპტელმა დასტოვა მიმართვა შვილთან, სადაც ის ურჩევს მას რა ხელობას მოჰკიდოს ხელი და თანაც ახასიათებს თუ რამდენათ ძნელია შიკრიკის ხელობა: „მან უნდა წასვლის წინ დასწეროს ანდერძი, რადგან მისთვის აზიელებიც და მხეცებიც ერთნაირად საშიში არიან, და როგორც კი დაბრუნდება შორეულ მგზავრობიდან, მაშინათვე უნდა მოემზადოს ხელ ახლათ წასვლისათვის.

ძნელი იყო და განსაცდელში აგდებდა შიკრიკებს ასეთი შორეული გზით ამბის მიწოდება, სანამ VII საუკუნეში სპარსელებმა დაიპყრეს მთელი აღმოსავლეთის წინა მხარე, ამ რიგათ აღმოცენდა დიდებული მონარქია, რომელიც იჭერდა ადგილს ინდის ნაპირებიდან იონიის კუნძულებამდის, თურქესტანის ველ—მინდვრებიდან—უდაბნო სახარამდე, და რომელიც შეიცავდა მრავალ ბიბლიურ თემებს და სამეფოებს. სპარსელი მეფეები ცდილობდენ შეეერთებინათ თავის მფარველობის ქვეშ სხვა და სხვა მიწები, შეკავშირებულიყვენ ერთი კანონით და ერთი მფლობელით. ამ მიზნით გაჰყავდათ ყველგან გზები, რომ შეეერთებინათ დედა-ქალაქი დაშორებულ კუთხეებთან. ამ გზებზედ გამართული იყო სადგურები და დედა-ქალაქს შეეძლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სისწრაფით მიეწოდებინა ცნობა დაშორებულ მხარის ქალაქებისათვის. ცხენოსანი შიკრიკები „ჩქარნი, როგორც ფრინველნი“ ამბობდენ ბერძნები, მიაქროლებდენ სადგურიდან სადგურამდე აბგას, რომელიც შეიცავდა მეფის ბრძანებას, ან მოურავების მოხსენებას.

ქარიშხალი იყო, თუ ღამის წყვდიადა შიკრიკი მოახწევდა თუ არა სადგურს, მას მაშინვე შესცვლიდა მეორე შიკრიკი და ამ რიგათ სიგელი მეფის სასახლემდის თუნდ 200 ვერსტით დაშორებული მიაღწევდა, ერთი კვირის განმავლობაში.

ასეთი იყო „ანგარეია“, ეს პირველი კარგათ მოწყობილი ფოსტა დედა-მიწაზე. მართალია ეს სახელმწიფო მიზნით იყო გამართული, მაგრამ ფოსტის გზა ყველასათვის მისაწდომი იყო, ვინც კი მოინდომებდა შეეძლო სადგურებზე თავი შეეფარებინა და არც საშიში იყო ასეთ გზაზე მოგზაურობა და ამ რიგათ ყველა მცხოვრებლებს უადვილდებოდა ერთმანეთ შორის ამბის მიწოდება.

ალ. ფალავა.

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შობა დილას.

რინე კერას ძირას ზის და გოჭსა ჰფუფქავს.

— ვაჰ, შე დედა მკვდარო, ეს შენი გოჭია, დუდუნებს უბედური და თვალთაგან მდუღარება ჩამოსდის.

— ეჰ, ნეტავი დათია მაინც გვყვანდეს შინ, — ამბობს შვიდი წლის თებრო, ირინეს გოგო.

— დათიას აქ რა უნდა ეხლა, ვაჰ, ვაჰ! უმატებს ქვითინს ირინე. — დათია ეხლა, ვინ იცის რუსეთის რომელ კუთხეშია? ვინ იცის, ისიც ავადა მყავს, ? — ვაიმე, შვილებო, ვაიმე! განა მაგას მოველოდით. ის უბედური გიო რო კვდებოდა, იმის ჯავრი მისდევდა თან, უფროს შვილსაც ჯარის კაცათ წაგართმევენ, შე უბედუროვო, მე ვკვდები და ვინ უნდა შეგინახოთო, რა იცოდა იმ საცოდავმა, თუ ნიკასაც მომიკლავდენ.

ამ სიტყვებთან ეო

ად ირინემ თავში ხელი შემოიკრა.

— დედი, ნუ ტირი, ქვითინით შეეხვეწა თებრო დედას.

— როგორ ნუ ვტირი, შვილო, მაშ რა მაქვს სამხიარულო! რა უნდა ვქნათ მე და შენ? რით უნდა დავირჩინოთ თავი? ეს გოჭიც ხო დავკალით, ვაჰ, შვილო, შე დედა მკვდარო, შენი გოჭია, შენი და მე როგორ უნდა დავაკარო ამას პირი!?

ირინემ თავშალით ცხვირი მოიწმინდა, ცრემლები ისევ ლაპა-ლუპით ჩამოსდიოდა ლოყებზედ.

— რად მოკლეს, დედი, ნიკა იმ ხელებ გასახმობებმა? იკითხა თებრომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ვიცი, შვილო, „ტრაჟნიკი“ თურმე გასულ ბიჭებს*) ეძებდა ჭალაში და ნიკასათვის კი ეს‹როლა თოფი. ვაჰ, შვილო, შე დედა-მკვდარო, რად გაგგზავნე მეღორეთ, რად? მაგრამ რა ვიცოდი მე უბედურმა, თუ ეგ ღვთის რისხვა გვეწერა, რო მცოდნოდა, ხო მუხლის ძირიდან არ მოგიშორებდი.

ირინემ გოჭი მეორე გვერდზედ გადააბრუნა, და ახლა იქიდან დაუწყო ჯაგარს გლეჯა. ქარი კი სისინით შემოდიოდა ურდულიან კარებში და სანათურს გაქრობას ემუქროდა.

— აგაშენოთ, აგაშენოთ! ო-ოცდა-ა-ა ხუთსა-ა-ა ამ თვესა-ა, დაიწყო ერთმა მეალილოემ წრიპინა ხმით და სხვებიც აჰყვენ:

— ქრისტე-ე-ე დაბადე-ე-ბულა-ა-ა, მადლი-ი მახარობელსა-ა-ა!..

შემოსძახეს ირინეს.

— აგაშენოთ, აგაშენოთ.

— რა მოგცეთ, შვილო? რა? გაეხმაურა ირინე: — ე გოჭი გაკეთებული რო მქონდეს, ჯიგარს მაინც მოგაწვდიდით. ამის მეტი არა მაქვს რა, ღვთის მადლმა, და გამხმარი პური კი როგორ მოგცეთ, შვილო?

— არა უშავს რა, დედი, ღმერთი მოგცემს, შემოსძახეს ბიჭებმა და გაბრუნდენ.

— ნეტა მეც მომკლა და მომასვენა, სთქვა ირინემ: — რა არის ჩემი სიცოცხლე ეხლა?

— მე რალა მეშველება, დედი, თქვა ტირილით თებრომ.

ქარი კი ისევ სისინებდა კარს უკან. თებრო კერასთანვე მოიკუნტა და თავი მუხლებზედ დაიდო.

*
* *

დიდხანს ეჯაჯგურებოდა ირინე გოჭს, ან კი სად შეეძლო უწინდებურათ, ქმრითა და შვილით სავსე რო იყო— გულმოდგინეთ მოჰკიდებოდა საქმეს, წამ და უწუმ ცხვირსა და ცრემლს იწმენდდა. ივონებდა დაკარგულ ქმარს, რომელიც

*) გასულ ბიჭებს ეძახიან იმ ბიჭებს, რომელნიც მოძრაობის დროს იძულებულნი იყვენ გაქცეულიყვენ და ამით აეცილებინათ თავიდან მთავრობის სასტიკი დასჯა.

სწორედ იმ დღეს მოუკვდა, რა დღესაც დათია თბილისიდან რუ-სეთისაკენ უნდა გამგზავრებულიყო. უბედურების ერთი კვირის შემდეგ ირინემ შეატყობინა საცა საჭირო იყო, ქმარი მომი-ხვდაო, სიყმის შვილი მაინც დამიბრუნეთო, მაგრამ, ვინ იცის როდის დაუბრუნებენ დათიას, ან ვინ იცის ცოცხალს ღა ნახავს, აგერ შარშანაც ხიზანაანთ არსენა არ მოკვდა იმ უცხო ქვეყანაში! იქნებ დათიაც... ვეღარ დაათავა ირინემ და თავში ხელი შემოიკრა.

— ნიკა, ნიკა როგორღა მოუკლეს საბრალოს: „ავაზაკ-ების“ დევნაში, პატარა მეღორეს ესროლეს და გამოასალმეს უდანაშაულო ბავში წუთისოფელს.

ტირის მას აქეთ ირინე, მდუღარება არ შეჰშრობია მის ჩაცვივნულ თვალებს.

თებრო რო არა ჰყვანდეს ირინეს, არც გოჭს დაჰკლავ-და ამ ბრწყინვალე შობის ღამეს, მაგრამ რა უყოს პატარას: ეს ერთი კვირაა, სულ იმის მოლოდინშია თებრო, გოჭს დავკლავთ და გავიხსნილებო. , ...

. . . . . .

— ღვინო რომ არა გვაქვს, მოისმის ირინეს ხმა,—მოდი, შვილო, კიდობანთან რო დოქია, წაიღე ნათლიაანთას, სთხოვე, ცოტა ჩაგვისხი თქო.

— კარგი, დედი.

თებრო დოქს იღებს და გადის კარში. საშინლათ ბნე-ლა. შორს სადღაც ძაღლის წკავ-წკავი ისმის.

ნათლიას სახლი იქვეა, მაგრამ ვეღარ მივიდა თებრო, მუხლები აღარ ეძვრის, მიდის მიდის, და ვეღარ მივიდა თებრო.

—ვაიმე, „ბოთვერა“ რო მეცეს, ფიქრობს თებრო:—მოდი დავიძახებ: ნათლი-ი! და თებროს თვალები კი ღია დარჩა.

— რა იყო, შვილო? შეეკითხა ირინე გაშოლვიძებულ თებროს: —სიზმარში რა ნახე?

— სიზმარში-ი? ეკითხება თებრო და თვალებს იფშვნე-ტავს.

— აბა აქეთ მოიხედე ვინ მოვიდა, ეუბნება ირინე თებროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებრო ტახტისკენ მიიბრუნებს კისერს და დათიას დაინახავს.

— დათი, ასე ჩქარა მოხვედი რუსეთიდან, აკი შორს არისო?

— რალა ჩქარა, სამი თვეა, რაც მოვდივარ, ეუბნება დათია და გულში იკრავს საყვარელ დას.

— აჰა, ეს ღვინო ჩამომართვი, ნათლიდედავ!

მოისმა გარედან თედოს ხმა.

— დათია მოგვივიდა, ერთი შენც გემრიელათ შეჭამე ლუკმა, შე საწყალო.

— ღმერთმა გიშველოს, ნათლი, ამბობს მხიარულათ ირინე და მომზადებულ სუფრაზედ სდგამს ღვინოს.

— მოდით, შვილო. გავისხნილოთ ჩვენც.

— ღმერთი უხვია, ღარიბო, გული ნუ შაგიშინდება, უმატებს დათია:

— შენ კი, თებრიკელავ, პირი მაინც დაიბანე, წირვაზე რომ არ იყავ, გეძინა...თორემ, თორემ... ღიმილით ეუბნება დას:

— თორემ ისევ რუსეთში წავალ.

ნ. გ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყინულეთი და ბნელეთი.

ერიან დედა-მაწაზე იმისთანა ქვეყნები, რომელნიც სრულიად არა ჰგვანან არც ცხელ ქვეყნებს, რომელთა მცენარეები და ცხოველები უკვე გაგაცანით, და არც ჩვენს სამშობლოს —საქართველოს, და მის მოსამზღვრე ქვეყნებს. ჩვენს ქვეყანაში ზომიერი სითბო—სიცივე იცის და მრავალ-გვარი მცენარეები და ცხოველები, გამოსადეგი ადამიანისათვის. ზამთარში ჩვენ მსუბუქათ ჩაცმულნი მიმოვდივართ, ჩოხა-ახალუხის ამარა, ნაბად მოხურულნი ანუ უბამბო პალტოთი. ზოგჯერ ისე გაივლის ხოლმე მთელი ზამთარი, რომ, ბევრი ადგილია ჩვენში, თოვლს ვერც კი იხილავ, და თუ იხილე—ცოტა ხნით. ყინული მხოლოდ აქა-იქ გადაეკვრის ხოლმე თხლათ წყლის ზედაპირს. ზამთარს გაზაფხული მოჰყვება, რომელიც გვეალერსება თავის ზომიერი სითბოთი, მხედველობას გვიტკბობს ფერად-ფერადი ყვავილებით და პირს სხვა-და-სხვა სასიამოვნო წვრილი ხილით. მერე იცვლება დრო, მწვანეთ შემოსილს დედა-მიწას ზაფხული ააჭრელებს პურის ყანებით, რომელნიც დამწიფებულან, საამურათ ტორტმანობენ—ღელავენ და მომკლებს იწვევენ თავისკენ. შემდგომ, როდესაც ადამიანი პურს მოიწევს, საშემოდგომო ხილი დაიზრდება, დამსხვილდება და სიმწიფეში შევა, ნელ-გრილი შემოდგომა მოგვევლინება თავის სხვა-და-სხვა გვარი მსხვილი ხილითურთ —ვაშლით, მსხლითა, კომშით და ბოლოს ყურძნის წვენითაც ჩაგვიტკბანურებს პირსა.

ზევით რომ ქვეყნები ვახსენე და ვსთქვი, ჩვენსას არა ჰგვანან-მეთქი, ის ქვეყნები ჰმდებარებენ ცივს სარტყელში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც პოლუსის წრეშია. იმ ქვეყნებისაკენ გატყორცნილი მზის სხივები ძალიან დახრილნი არიან და სულ ცოტა სითბოს იძლევიან. ზაფხული მოკლე და მუდამ ცივია იმ ქვეყნებში, ზამთარი კი ძალიან გრძელი და მძაფრი, ესე იგი იმისთანა სუსხიანი, რომ წარმოდგენა არ შეგიძლია. ზამთრის ყინული ზღვაზე თავის ღღეში არ დადნება ხოლმე მთლათ; იგი ზაფხულშიაც ყინულათ რჩება; მიწასაც მუდამ გამჯდარი აქვს ყინული. სწორედ ნამდვილი სამფლობელოა უკუნითი სიცივისა და ყინულისა, ამიტომაც შეგვიძლია ამ ქვეყნებს ვუწოდოთ ყინულეთი



ყინულეთი.

ჩვენში ხომ დაკვირვებიხართ მზის მოძრაობას? იგი ამოდის და ჩადისო, რომ ვამბობთ, ამ ამოსვლა-ჩასვლის შორის

მზე თან-და-თან იწევა ხოლმე მაღლისაკენ, თან-და-თან მაღლა მიდის ცაზე, განსაკუთრებით ზაფხულში და შუადღისას თითქმის პირ-და-პირ დაგვყურებს თავზე. ამ დროს იგი სითბოსაც ბევრს იძლევა. ბოლოს გადიხრება და თანდათან ჩადის დასავლეთისაკენ. ამასობაში კაი ხანი გაივლის ხოლმე და ამის გამო დღეც გრძელი გამოდის. ყინულეთში კი ივნისშიაც შესამჩნევათ ვერ აუწევია მზეს ცაზე და სითბოსაც ძალიან ცოტას იძლევა. ზოგი თვეებია, რომ მზე სულ დაბლა-დაბლა გადაივლის ცაზე; ზოგჯერ ოდნავ გაჩნდება ხოლმე, ცოტ ხანს იქნება და ისევ გაჰქრება. ხან და ხან თვეები ისე გაივლის, რომ მზეს თვალით ვერ ნახავს ადამიანი. მაშინ ყინულეთში დგება ხანგრძლივი, დაუბოლოებელი ღამე, ჩვენში რომ დღე მრავალჯერ შეიცვალა ღამეო, მრავალ-ჯერ დაღამდა და ისევ გათენდა, ამასობაში იქ სულ წყვდიადი იყო გამეფებული, ნამდვილი ბნელეთი იყო.

ამნაირად არის ადგილები, რომ ექვს თვეს სულ ღამეა. ეს იცის ყინულეთის შუაგულ ადგილებში, ხოლო რაოდენათაც დავშორდებით შუაგულს ადგილებს და თან და თან პოლუსის წრისკენ გამოვიწევით, ესე იგი ცივი სარტყლის კიდურისაკენ, ღამეც იმდენად ჰკლებულობს: ექვსი თვის მაგივრათ გრძელდება ხუთს თვეს, ოთხს, სამს და ასე, ამგვარად თან და თან უახლოვდება და უტოლდება ჩვენს ღამესა. ბოლოს გათავდება ხანგრძლივი ღამეც და იწყება მზის თან და თანობით გამოჩენა. პირველს ხანებში მხოლოთ რიჟრაჟი მოჩანს, მეტი არაფერი; შემდგომ ოდნავ გამოჩნდება მზე, მხოლოთ ერთს კიდურს დაგვანახებს თავისას; მერმე და მერმე თან და თან მატულობს და ცხრა მარტს ყინულეთშიაც დღე უსწორდება ღამეს. მას იქით ღამე თან და თან ჰკლებულობს, დღე მატულობს და ბოლოს დადგება დრო, რომ მზე სულ აღარ ჩადის და ტრიალებს ცაზე, თითქო წრეს ჰხაზავს ყოველს ოც და ოთხს საათშიო. ამ დროს ჩვენს ქვეყანაში ვინ იცის რამდენჯერ დაღამდება და რამდენჯერ გათენდება, იქ კი განუწყვეტელი სინათლეა, სულ დღეა ექვსი თვის განმავლობაში. ასე იცის იმ ადგილებში, რომელიც ყინულეთის შუაგულშია; აქეთ და აქეთ, რამდენათაც უფრო დავშორდებით შუაგულს ადგილებს, ექვს თვიანი დღე თან

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თან ჰკლებულობს ხოლმე და ბოლოს იგი უტოლდება ჩვენებურს დღე-ღამესა.

უუგრძელესი ღამე, ესე იგი ყველაზე უფრო გრძელი, ყინულეთში იცის—ზამთარ და უუგრძელესი — დღე ზაფხულს. ადვილი წარმოსადგენია, რა ძნელი უნდა იყოს ადამიანისათვის ამისთანა ქვეყანაში ცხოვრება. იმდენი ხნის უსინათლობა, უეჭველია, გულს უწუხებს მას, ფერ-ხორცს აკლებს და ასუსტებს. მოგზაურები, რომელნიც იმ ქვეყნებში ყოფილან და გამოუცდიათ უკუნითი სიბნელე, მოგვითხრობენ: „არ ვიცოდით, რა გვექნა იმ ბნელეთში, გული გვიკვდებოდაო; ბოლოს, როდესაც გათავდებოდა ხანგრძლივი ღამე, როდესაც მზე თავის ალმაცერ სხივებს მოგვაწვდიდა და გათენდებოდა, მკვდრები გავცოცხლდებოდით, სიხარულის ჟივილ-ხივილით მივეგებებოდით სანატრელს დილას, როგორც მხსნელს და აღტაცებულნი ვიძახდითო: მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს, გამოვედით ბნელეთიდან!“

ახლა ჩემი ნორჩი მკითხველი, უეჭველია, დამეკითხება: რა უნდათ იმ ქვეყნებში მოგზაურებს, თუ ჯოჯოხეთში ყოფნასა ჰგავს იქ ცხოვრება? რისთვის იწუხებენ თავს, რატომ არ ერიდებიან ავადმყოფობას, არც სიკვდილს, რომელიც ისე ადვილი მოსალოდნელია იქ, სადაც გამეფებულა ყინვა და წყვდიადი?

მართლაც საკვირველია! რამდენს კაცს გამოუვლია გაჭირვება იმ ქვეყნებში მოგზაურობის დროს, რამდენს დაბნელებია იქ თავის სიცოცხლე და სამშობლოში აღარ დაბრუნებულა, გამოსალმებია წუთი-სოფელს, და მაინც ვერ დასცხრა ადამიანი! კიდევ ახალი და ახალი მოგზაურები მიეშურებიან იმ ქვეყნებისაკენ! რა არის ამის მიზეზი?

ადამიანს იმისთანა თან დაყოლილი თვისება აქვს, რომ უსაქმოთ არ შეუძლია გაჩერდეს; გონება მისი მუდამ ეძიებს რასმე, სულ ახალი და ახალი რამე უნდა შეიტყოს და გამოაჩინოს. მიწაში ხვრელებს აკეთებს, ფეხდა-მიწის გულისაკენ მიძვრება, რომ გაიგოს, იქ რა ამბავია, ჰპოულობს იქ სხვა და სხვა მადნეულობას, ზევითკენ ეზიდება და ხმარობს კაცობრიობის ცხოვრების გასაკარგებლათ; ზღვის ფსკერზე ჩაეშვება ხოლმე და იქ შინჯავს, როგორი აგებულობა აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზღვაურები აღტაცებით ეგებებიან მზეს ხუთი თვის ღამის შემდეგ.

ზღვის ფსკერს, რა იპოვება იქ იმისთანა, რომ გაამდიდროს ადამიანის ცოდნა და გამოსადეგი იყოს ხალხისათვის. მიდის ჩრდილოეთისაკენ, დიდს გზას გაივლის ხმელეთით, მერე ხომალდით მისცურავს ყინულოვანს ოკეანეში. ორი-სამი წლობით დაკარგულია ყინულის მთებს შორის და იძიებს—იქ არის სადმე კიდევ ხმელეთი თუ არა; თუ არის, რა მცენარეები და ცხოველებია იქ! ადამიანები არიან თუ არა, როგორ სცხოვრობენ და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპაში მრავალნი ყოფილან და ახლაც არიან მკვლევარები და ამისაგან წარმოსდგა, რომ ევროპიელნი სხვებზე უფრო მცოდნენი და განათლებულნი არიან. ასე იცის გონების სიფხიზლემ, მუდამ ძიებამ, მუდამ შრომამ და გაბედულებამ. ნეტავი ჩვენს სამშობლოსაც მიეცეს თავდადებული მშრომელები, რომ გააკარგონ ჩვენი ცხოვრება და ქართველებიც არ ჩამორჩენ უკან ევროპიელებს.

ალექსი ჭიჭინაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წელი.

ავხედე ალმოსავლეთსა:
ალის ფრათ იღებებოდა...
ცაზე ბრწყინავდა დღის შუქი
და ღამის ბინდი ჰქრებოდა...
დგებოდა ახალი წელი,—
ძველი სულს ლევდა, კვდებოდა,—
და ნორჩ წელს, ჯერ ყრმას, უსუსურს
ღიმილით ეგებებოდა...
ფრთა აცქვეტილი ნიავი
ლაღათ დაჰქროდა არესა
და თან შრიალით არხევდა
ტბის წიაღს მოელვარესა!..
ამბობდა:— „სალამს მოგიძღვნით
ახალო,—ნორჩო წელოო...
ვარდით მოვფინეთ შენი გზა.
მობრძანდი, საყვარელოო!..
ახალ სიცოცხლით შეჰმოსე,
გამოაცოცხლე ბარიო,
რომ გაიფუჩქნოს, აყვავდეს
ბუნება ცოცხალ-მკვდარიო...
მწვანე ქათიბით მოირთოს
მინდორი, ტყე და მთებიო;
სმენას ატკბობდეს ფრინველთა
საგაზაფხულო ხმებიო...
მაშ, ჰა, სალამი გულ-წრფელი
მიიღე, გენაცვალეო;
და შენ კი, ძველო, მშვიდობით!..
გაგვშორდი, გაგვეცალეო!“

ვ. გორგაძე.

ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესანიშნავი ლაბორატორია-მუზეუმი.

მ ათი წლის განმავლობაში, რომელიც ედისონმა მენლო-პარკში გაატარა, მისი საქმეები თან-და-თან ფართოვდებოდა, დიდდებოდა. ჩვენ ჩამოვთვალეთ წინა წერილში უმთავრესი მისი გამოგონებები, ის მხოლოდ მცირე ნაწილია, შედარებით იმისი, რაც მან გამოიგონა. ჩვენ სიტყვა არ დაგვიძრავს მის რკინის გზის ელექტრონის მანქანის (ლოკომოტივის) შესახებ, რომელიც შეადგენს ტეხნიკური მხრივ მკვლევარის, გამომგონებელის უდიდეს გამარჯვებას.

ყოველი ახალი გამოგონებისთვის საჭირო იყო ახალი ბინა-შენობა. ედისონი თან და თან უმატებდა სადგომებს, მაგრამ მენლო-პარკი ალარ იტევდა და 1886 წელს მან ხელ-ახლათ ლაბორატორია გამართა ქალაქ ნიუ-ჯერსეიში, ორანჟევის მთების ძირში.

მთელ ქვეყნიერებაზე ვერა ნახავთ ამაზე უკეთეს და ამაზე მდიდარ ლაბორატორია-მუზეუმს.

ედისონის ერთ-ერთმა თანაშემწემ ასწერა ეს ლაბორატორია და ამ კაცის ხელმძღვანელობით მომიხდა მე ამის დათვალიერება.

სამ-სართულიანი უმთავრესი დიდი შენობა, რომლის სიგძე უდრის 250 ფუტს და სიგანე 60 ფუტს, გარშემორტყმულია ოთხი პავილიონებით, რომელნიც ორჯერ პატარაა ამ უმთავრეს შენობაზე.

შევდივართ თუ არა ამ დიდ შენობაში თავდაპირველათ დაგვიხვდება სამკითხველოს დარბაზი, რომლის სიგრძე 50 ფუტია და სიგანე და სიმაღლე 40 ფუტი. ჯერ ეს დარბაზი სულ უბრალოთ იყო მორთული, მაგრამ ედისონის დაბადების დღეს, როდესაც ის შესრულდა 42 წლისა, მისმა მეგობარ—ინჟინერებმა და ტეხნიკებმა საჩუქრათ დიდებულათ მოურთეს ეს სამკითხველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იატაკი დაფინეს ძვირფასი ხალებით, კედლებზე ჩამოკიდეს შესანიშნავი ხელობის სურათები, მთელი ოთახი მორთეს იშვიათი მცენარეებით, შუა ოთახში წიგნების საკითხავათ მშვენიერი ხელობის რგვალი მაგიდა დასდგეს, გარშემო მოუდგეს რბილი და კარგა მოთავსაბული სავარძლები, ასე რომ სამკითხველომ მეტათ თვალ-მომტაცავი შეხედულობა მიიღო.

ამხანაგებს ეშინოდათ, ვაი თუ ედისონს ეწყინოს ამ საჩუქრისა, მაგრამ მან დიდი მადლობა გადუხადა, ასე გვიამბო ჩვენმა წინამძღოლმა,—სიამოვნებით ჩაჯდა სავარძელში და კმაყოფილებით გადახედა ოთახს წიგნებით სავსეს, მჭიდროთ ჩამომწკრივებული იყო ორმოც ათასზე მეტი წიგნი ყოველგვარი ტეხნიკური ლიტერატურის დარგიდან.

ამ წიგნებს რომ შესცქეროდა ედისონი, ნეტა რას ფიქრობდა? ხომ არ იგონებდა იმ დროს, როდესაც დიდი გაჭირებით ჩაიგდებდა თუ არა ხელში ფურცლებს ელექტრონის აწერილობისას მიარბეინებდა თავის კუნჭულში წასაკითხათ, რომ მერე კიდევ მოესწრო ამ ფურცლების ვისმესთვის მიყიდვა და აღებული გროშები ან დედისთვის გაეგზავნა და ან სადილის ფულში მიეცა. რა დიდი განსხვავება იყო მაშინდელი დრო და ახლანდელი.

სამკითხველოს დარბაზის შუა ადგილას ამართულიყო მარმარილოს ქანდაკება „სინათლე"; მის ძირს გატეხილი სანათური ეგდო და ქანდაკებას კი ხელში ეჭირა ედისონის სახურველი ლამპა.

სამკითხველოში დიდძალი ძვირფასი ქვები და მმადნეულობი ნიმუშები იყო გამოფენილი, რომელიც ედისონს ეყიდნა პარიზის გამოფენაზე და ეს ქვები სხვა და სხვა ფრათ ბრწყინავდენ, ანათებდენ.

რასაკვირველია სამკითხველოში საკრავი ორღანიც იდგა. ედისონი მუსიკას არ უღალატებდა და ხშირად საკრავი ატკბობდა გულ მოდგინეთ მომუშავე ინჟინერებს და ტეხნიკებს.

სამკითხველოდან ჩვენ შევედით ორჯელ უფრო დიდ დარბაზში, სადაც მოთავსებული იყო ყოველგვარი საოცარი, იშვიათი ნივთები, მთელ ქვეყნიერობაზე, რომლებსაც ბადალი არა აქვს. როდესაც ედისონი მართავდა ამას, უნდოდა რომ ქვეყანაზე არ ყოფილიყო ისეთი საგანი, ისეთი ნივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი, რომ მის მუზეუმში ადგილი არა ჰქონოდა. იმან ეკა-
გათ იცოდა გამოცდილებით, როგორ აფერხებს მკვლევარს,
როდესაც მასალა არა აქვს. და ყველა შესანიშნავ ნივთებს
თავი აქ მოუყარა.

ერთ განყოფილებაში მოგროვილი არის ყოველ-გვარი
ცხოველების საფთხელი, სხვა და სხვა გარეული მხეცების
ჩონჩხები, გამხმარი მცენარეები. მეორე განყოფილებაში ვნა-
ხეთ ცხელი ქვეყნების სხვა და სხვა იშვიათი, სანელებელია-
ნი სანოვაგეები. მესამეში ჩვენ თვალ-წინ გადაგვეშალა ადა-
მიანის ხელის ყოველგვარი ნაწარმოები. მეოთხეში რკინეუ-
ლობის ნიმუშები იყო გამოფენილი. ერთი სიტყვით ქვეყანა-
ზე ამის მსგავსი არაფერი მოიპოვება რა: აქ იყო ნიმუშები
სულ უბრალო ურმიდან დაწყებული ელექტრონის მანქანამ-
დის. აქვე იყო გამოფენილი ველური ხალხის ჩაცმულობიდან
დაწყობილი უკანასკნელ მოდაზე მორთულ ამერიკელამდის.

არ იყო ისეთი ნივთი, რომ ამ მუზეუმში არა ყოფილი-
ყო გამოფენილი, რაც ნაშოვნი არ ჰქონდათ ედისონი მაშინ-
ვე შეიძენდა.

ეს მუზეუმი ნამდვილი კაცობრიობის განვითარების მა-
ჩვენებელი იყო. გადადის კაცი გაოცებული ერთი დარბაზი-
დან მეორეში და თან ამავე დროს მეზობელ ოთახებიდან მო-
ისმის მანქანების გრიალი, ჩაქუჩების დარტყმა და მუშების
ხმაურობა.

ბოლოს შევდივართ იქ, იმ განყოფილებაში, სადაც ხალხი
ათასობით მუშაობს მეტად სამძიმო საქმეზე—ლითონს ამტვ-
რევენ, მადნებს სჭრიან.

თუ სამკითხველოში და მუზეუმში სრული სიჩუმეა და
სიწყნარე—აქ სწორეთ ჯოჯოხეთური ხმაურობაა: შეუწყვე-
ტელი კვერ-ჩაქუჩის გრდემლზე დაკვრა, მეხანიკური ხერხის
ჭყვირილი, ათასი ბორბლების ზუზუნი, ჯაჭვების ჩხარუნი,
კვნესა—ღრიალი ჰაერში და ამ ხმაურობის დროს ერთი მან-
ქანიდან მეორემდის გარბი-გამორბიან პატარა ადამიანები,
რომლის მარჯვენას და თვალთ-მხედველობას ფოლადის ვეშა-
პები დაუყოვნებლივ უჯერებენ.

პირველათ თქვენ გგონიათ, რომ იმყოფებით უზარმაზარ
დიდ ფაბრიკაში, მაგრამ სცდებით. ის ფაბრიკები, სადაც ედი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სონის გამოგონილ მრავალ მანქანებს აკეთებენ ამ შენობის ახლო-მახლო ადგილებშია.

არც ედისონია ამ ფაბრიკების პატრონი, იმან ერთხელ და სამუდამოთ ხელი აიღო ფაბრიკების წარმოებაზე. მისი პატრონები არიან მთელი სავაჭრო საზოგადოებები, რომელნიც აძლევენ ედისონს ერთხელ გადაჭრილ სარგებელს. და ეს ქარხანა, რომელიც ეს არი ახლა ვნახეთ, ხოლო იმიტომ არის გამართული, რომ ახლათ გამოგონილი მანქანა ედისონისა საცდელათ გააკეთონ.

ერთი დარბაზი სრულიათ სავსეა ედისონის გამოგონილი მანქანებით.

დიდ ხანს არ გავჩერებულვართ აქა, სადაც გაჭვარტლული და გაშავებული ზეინკალები და მჭედლები მუშაობენ და ზემო სართულში აგვაფრინა მანქანამ.

ამ ზემო სართულში სულ სამუშავო ოთახებია, სადაც ვხედავთ ედისონის თანაშემწეებს, რომელნიც თეორეთიულათ ახდენენ გამოკვლევებს და ედისონის გამოსაკვლევათ საჭირო გეგმებს და ნახატებს ამზადებენ. ისინი ჩასაქერიან ციფრებს, დახაზულებს და გულმოდგინეთ, თავ-აუღებლივ მუშაობენ. „მოხუცს“, როგორც ედისონს ეძახიან, არ უყვარს ზარმაცები დაკარგათ იცის, ვის რა სამუშავო მოსთხოვოს.

ამავე სართულშია ის განყოფილებაც, რომელშიაც სცდიან მეტათ წმინდა საქმის მანქანებს, მაგალითათ: ტელეფონის, ტელეგრაფის, ფონოგრაფის და სხვ. ამაზე მუშაობენ მხოლოთ კარგათ მომზადებულნი, გამოცდილნი და დიდი მცოდნენი.

აქვე ამზადებენ სხვა და სხვა ნაირ მინის ჭურჭელს, რომელიც ესაჭიროებათ ფიზიკურ და ქიმიურ გამოცდილებისთვის. სწორეთ სანახავია მინის სითხე, როგორ ცოტ-ცოტა სხვა და სხვა უცნაურ ფორმას ღებულობს.

ერთ ერთი ოთახი მოწყობილია სახურველი ლამპების გამოსაცდელათ. უნდა აღნიშნონ თითო ლამპის სინათლის ძალა, რამდენ ხანს შეიძლებს სინათლის მოცემას. ყოველ 15 წამის შემდეგ წიგნში ნიშნავდენ გამოკვლევის შედეგს და ამ გვარათ საბოლოოთ გამოჰყავთ შედეგი, რომლის მეოხებით შეიძლებოდა ძალა მოემატათ და ელექტრონის სინათლე მეტ ხანს გაჰყოლოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე სართულში, ხოლო ცალკე დარბაზში, გამოეფინათ ედისონის ყველა გამოგონილი მანქანები, ხოლო იმ რიგათ და წესით, როგორც თანდათანობით შემოღებული იყო. ეს დიდი ყურადღების ღირსია, რადგან ამაში გამოიხატება ედისონის აზრების თანდითანი განვითარება. ამ უდიდეს ამერიკის გენიოსის ნაწარმოებს ყოველ მსოფლიო გამოფენაზე უჩვენებენ მთელ ქვეყნიერებას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს გამართულია საკუთრივ ედისონის თანაშემწეებისაგან.

უმთავრეს შენობას, როგორც წინათა ვთქვით, გარს არტყია ოთხი პავილიონი. ერთი მათგანი საკუთრივ ქიმიის გამოკვლევებისთვის არის დანიშნული და აი აქ უფრო ხშირათ შეხვდება კაცი ედისონს. მოიცლის თუ არა, ან მოუნდება რაიმე გამოკვლევა მოახდინოს, მაშინვე იქ მიეჩქარება. ყმაწვილობიდანვე ედისონს ქიმია ძალიან უყვარდა და ეს სიყვარული აქამდის შერჩა.

შემდეგი პავილიონი მეტათ საყურადღებოა ტეხნიკოსებისთვის. რა მანქანა გინდა, რომ აქ არ იყოს! ამ პავილიონის აშენებაზე არც რკინა და არც სხვა ლითონი არ უხმარიათ, რომ აქ შენახულ ძვირფას სამუშაო იარაღებს არ ავნოს. ედისონს ამაზე დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული: შენობის უმთავრესი კედელი ოც ფუტზეა მიწაში ჩატანილი და თვით სამუშაო იარაღები დიდ ქვებზეა დაყენებული.

მესამე პავილიონში ლითონს, მადნის ქვებს ამტვრევენ ელექტრონის ძალით და აქაურობა სავსეა ყოველ გვარ ძვირფას და იშვიათ ქვებით.

სწორეთ სანახავია ის უშველებელი მანქანა, რომელიც ამტვრევს მადანს. დასამტვრევ მადანს ჯერ გაატარებენ ხოლმე ღრმა ძაბრში, იმ დიდი და ღონიერი მეტალის გვერდით, რომელნიც ხოლო ლითონის პატარა ნაწილებს მიიზიდავენ; როდესაც მთელი მადანი პატარ-პატარა ნაჭრებათ დაიფხვნება, მაშინ ის გადადის იმ მანქანაში, რომელიც მას ასუფთავებს და უვარგის ნაწილებს აშორებს. ეს ძალიან მიეგვანება ხორბლის და მარცვლეულობის გასასუფთავებელ მანქანას.

მეოთხე პავილიონში ამზადებენ ცოცხალ სურათებს, მაგრამ ამას შემდეგ აგიწერთ.

ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა სიტყვამ, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთქვა ჩემმა წინამძღვარმა, რომელსაც დავყავდი ლაბორატორიაში. ეს სიტყვა არის „სიკვდილით დასჯა“.

„თქვენ უსათუოდ გაიგებდით, ან წაკითხული გექნებათ, სთქვა მან, რომ ამერიკაში დამნაშავე კაცს სიკვდილით სჯიან. ამ ბოლო დროს შემოიღეს ელექტრონის შემწეობით უცებ დამნაშავის მოკვლა, რომ მას ტანჯვა ააცილონ. საუბედუროთ, ხმაა ყველგან გავრცელებული, ვითომ ედისონს მოეგონებინოს ეგ საშუალება.

ნამდვილათ კი ედისონს ეგ ბრალი ცუდ-უბრალოდ ედება, ის არაფერ შუაშია. მართალია ამერიკის პარლამენტმა დიდი ფული შეაძლია, რომ ელექტრონის საშუალებით სიკვდილით დასჯილს მეტი ტანჯვა ასცილებოდა, მაგრამ ედისონმა პარლამენტს უარი შეუთვალა და შემდეგი წერილიც კი გაუგზავნა:

„მე სრული წინააღმდეგი ვარ სიკვდილით დასჯისა, რა გვარათაც უნდა იყოს. ჩემი გონება, ჩემი გრძნობა ვერ შეურიგდება მაგ ბარბაროსულ, მაგ ველურ მოქმედებას. ეგ არის შედეგი საზოგადოების სულიერი ღატაკობისა. თავდაპირველათ უნდა გავაუმჯობესოთ ჩვენი ცხოვრების პირობები და მაშინ აღარც დამნაშავე იქნება ვინმე. ჩვენს ულმობელ, უსამართლო დროში, როდესაც საშუალება აქვს საზოგადოებას დასაჯოს სასტიკათ კაცი, მაგალითად, საპყრობილეში სამუდამოთ დამწყვდევით, რაღა საჭიროა უარესი სასტიკობა—სიკვდილით დასჯა. ჩემის აზრით, თუ იმათაც, ვინც სამუდამოთ დამწყვდეულნი არიან საპყრობილეში, მივცემთ შესაფერ სამუშავოს, გახდებიან კარგნი, პატიოსანნი და მუყაითი მუშაკნი.

„ამიტომ არის,—განაგრძობს ედისონი თავის წერილში,—რომ მუშაობა კაცს სულით აღონიერებს და აზრს უფაქიზებს. რაც კი რამ კაი თვისება არის კაცში ჩამარხული მუშაობის დროს კი ვითარდება და დიდი სასტიკობაა მოესპოს ადამიანს სიცოცხლე და არ მიეცეს გზა,—კაი მოქალაქეთ გამოვიდეს“.

ედისონმა ასე ნათლათ გამოხატა თავისი ზიზღი „სიკვდილით დასჯის“ გამო და სრულებით ყურადღებას არ აქცევდა, რა ბრალსაც სდებდენ მას.

(შემდეგი იქნება).

ПОДПИСКА НА 1914 ГОДЪ.

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

„Закавказье“

(Годъ IX-й).

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисѣ:		Съ пересылкой въ другіе города:	
На годъ . . .	6 р. — к.	На годъ	8 р. — к.
На полгода . .	3 р. 50 к.	На полгода . . .	4 р. 50 к

Помѣсячно повсюду 75 коп. Заграницу—вдвое.

За перемѣну адреса городского на иногородній—1 руб., съ иногородняго на городской—50 коп.

Редакція и контора помѣщается въ Тифлисѣ, на Дворцовой ул., въ домѣ грузинскаго дворянства.

Телефонъ редакціи 917. Редакторъ И. И. Радикэ.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.

ეროვნულ-დემოკრატიული და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო გაზეთი“

წელიწადი მეხუთე.

მომავალ 1914 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა და გაზეთს ექნება კვირაობით

სურათებიანი დამატება.

1914 წლის ხელის მომწერნი, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან **მიიღებენ პრემიად**

სამს წიგნს.

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., საზღვარ-გარედ 15 მ. ნახევარი წლით ტფილისში 4 მან 50 კაპ., საზღვარ-გარედ 7 მ. 50 კ., ერთი თვით ტფილისში 75 კ., საზღვარ გარედ 1 მან. 25 კაპ.

ცალკე ნომერი უფასოდ ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, груз. газ. „САХАЛХО ГАЗЕТИ“ почтовый ящикъ 190.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეჯილი

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ოცდა მეხუთე წელიწადი.

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წელს.

გამოვა 1914 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განუოფილებაა, ზღაპრებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება **4** მან, ქალაქ გარეთ (გაგზავნით) **5** მან. ნახევარი წლით **3** მან., ცალკე ნომერი **40** კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: **თბილისში**—„ჯეჯილის“ რედაქციაში, (არტილერიის ქუჩა, № 5.)

ქალაქ გარეთ მკითხველებს შეუძლიანთ მიმართონ:

ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძეს.
მიხაილოვში—ვლად. ჩიქოვანს.
სამტრედიაში—რაჟდენ ნანეიშვილს.
სიღნაღში—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.
ჭიათურაში ქალ. ჯაფარიძეს და —ნიკო წუწუნავას.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი ანნ. თუმანიშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1914 годъ

НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь“

(Годъ изданія шестой).

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисѣ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб — коп.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяцъ	— 75 коп.	— 75 коп.

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчь“, Дворцовая ул. д. Сараджева. Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ **Д. М. Думбадзе.** Издатель **Э. З Горделадзе.**